ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

განათლება

დავითაძე ოქრო

სასწავლო მიზნის მისაღწევი აქტივობები

ნაშრომი წარმოდგენილია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დედა ბარბარე (მეგრელაძე)

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ხიჭაური 2020

ანოტაცია

ოქრო დავითაძის ნაშრომში „სასწავლო მიზნის მისაღწევი აქტივობები“ განხილული საკითხი აქტუალურია თანამედროვე სასკოლო საქმიანობაში.

ნაშრომში განხილულია სასწავლო მიზანთან შესაბამისი აქტივობების შერჩევის ეფექტური მიდგომები.

ნაშრომის მეცნიერულ მიდგომას წარმოადგენს ახალი მიდგომების განხილვა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. დამუშავებულია აქტივობები საველე, ინტეგრირებული გაკვეთილი დიფერენცირებული სწავლებისათვის, მოცემულია აქტივობების შეფასების მახასიათებლები. აქტივობების გამოყენების ეფექტურობა დადასტურებულია საცდელი მუშაობითა და გამოცდილების გაზიარებით.

მოძიებული და გაანალიზებულია პედაგოგიური, ფსიქოლოგიური წყაროები, უახლესი კვლევის მასალები.

აქტივობების აღწერა, მათი გამოყენების ფორმების განსაზღვრა და შეფასების მახასიათებლების დადგენა ნაშრომის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობას ქმნის.

ნაშრომი ორი თავისა და ხუთი პარაგრაფისგან შედგება. განხილული საკითხები შინაარსის მიხედვით ლოგიკურად არის დალაგებული, თეორიული საკითხების მრავალფეროვნება: აქტივობების დახასიათება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, გაკვეთილის ტიპისა და სახეების შესაბამისი აქტივობების ფორმების შერჩევა ქმნის პირობებს საცდელი მუშაობის წარმართვისათვის.

დამუშავებული და გამოცდილებით შემოწმებული აქტივობები მრავალფეროვანია და ხელს უწყობს გაკვეთილის მიზნის მიღწევას.

annotation

The issue discussed in Okro Davitadze's work "Activities to Achieve Learning Goals" is relevant in modern school activities.

The work represents effective approaches of the appropriate activities for the learning goals.

The scientific approach of the paper is to discuss new approaches in accordance with modern requirements. Outdoor activities, integrated lesson for differentiated teacher are developed; characteristics of activity evaluation are given. The effectiveness of using activities is confirmed by trial work and sharing experience.

Pedagogical, psychological sources, latest research materials are found and analyzed.

Describing the activities, defining the form of the use, and determining the evaluation characteristics make it possible to use the work in practice.

The work consists of two chapters and five paragraphs. The discussed issues are logically sorted by content, the variety of theoretical issues, the characterization of activities according to the national curriculum, the selection of appropriate activity form for lesson types and style create the conditions for conducting pilot work.

Processed and experienced activities are varied and contribute to the achievement of the lesson goal.

შინაარსი

შესავალი 5

თავი პირველი. სასწავლო მიზნისა და აქტივობების ურთიერთმიმართების პრობლემა 9

§.1 სასწავლო მიზნის რაობის პრობლემა 9

§.2 აქტივობები ეროვნულ სასწავლო გეგმაში 15

§.3 გაკვეთილის ტიპები და აქტივობების შერჩევა 21

§.4 აქტივობის შესრულების ფორმები 35

თავი მეორე. სწავლების მიზნის მისაღწევად ეფექტური აქტივობების გამოყენების გამოცდილება 49

§.5 აქტივობები სხვადასხვა სახის სასწავლო პროცესში 49

§.5.1 აქტივობები გასვლით ინტეგრირებულ გაკვეთილზე 53

§.5.2 აქტივობები ინტეგრირებული გაკვეთილისათვის საკლასო ოთახში ... 59

§.5.3. აქტივობები ინოვაციური გაკვეთილისათვის 61

§.5.4. გასვლითი საველე გაკვეთილი სასწავლო მიზნების შესაბამისად 63

დასკვნები, რეკომენდაციები 68

ლიტერატურის დასახელება 70

შესავალი

თემის აქტუალობა: საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები უპირველესად მიმართულია სკოლებში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისაკენ. ამ პროცესში მნიშვნელოვნად ამაღლდა მასწავლებელთა მოტივაცია პროფესიული განვითარებისათვის, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ზრდას და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას. საკუთარი პრაქტიკის თვითკრიტიკული ანალიზით და შეფასებით არის შესაძლებელი მიზანმიმართული პროფესიული წინსვლა. ამ მიმართულებით საკუთარი და სხვისი პროფესიული საქმიანობაზე დაკვირვებით ცხადი გახდა, რომ ერთ-ერთი საჭირო ფორმა აქტივობების დაგეგმვა და განხორციელებაა.

მასწავლებლის კარიერული წინსვლისათვის სტატუსის მოსაპოვებლად აქტივობების შესრულება ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა, მხედველობაში გვაქვს აქტივობების შესრულება როგორც საგაკვეთილო, ასევე გაკვეთილგარეშე საქმიანობაში. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა გვთავაზობს მრავალფეროვან აქტივობებს, დავასახელებ ზოგიერთს: სასწავლო რესურსის შექმნა, სასწავლო და სოციალური პროექტები, საგნობრივი წრე, კლუბები, საზაფხულო სკოლის მოწყობა, ი.ს.ტ.-ის გამოყენება გაკვეთილზე და სხვა.

განსაკუთრებულია მოთხოვნები საგაკვეთილო პროცესში განსახორციელებელი აქტივობების მიმართ. გაკვეთილის ჩატარება სავალდებულო აქტივობაა ყველა სტატუსის მოსაპოვებლად, შეფასება განსხვავებულია, მაგრამ აქტივობების სასწავლო მიზანთან შესაბამისობა საერთოა ყველა სტატუსისათვის. გაკვეთილის დაგეგმვაში ძირითადია სასწავლო მიზნის განსაზღვრა. იგი ექვემდებარება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შესრულებას, მოსწავლეთა შესაძლებლობებს, რესურსებს და სხვა.

სასწავლო მიზნის მიღწევის უმთავრესი საშუალება აქტივობებია, რომელიც განაპირობებს მოსწავლეთა მოტივაციას, მზაობას ახალი ცოდნისა და უნარების შესაძენად. პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შემოთავაზებული

გაკვეთილის დაგეგმვის სქემა მოიცავს აქტივობების დასახელებას, აღწერას, შეფასებას.

საკუთარი და სხვისი გამოცდილების შესწავლამ ცხადყო, რომ ხშირად აქტივობების შესრულება სათანადო შედეგს ვერ იძლევა. პრობლემის თეორიულმა შესწავლამ ცხადყო, რომ პედაგოგიურ ლიტერატურაში მნიშვნელოვან ფაქტორად არის მიჩნეული საგაკვეთილო პროცესის სასწავლო მიზანთან შესაბამისად დაგეგმვა. სასწავლო მიზანი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს. ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში (2018-2024) სტანდარტების მისაღწევად შემოთავაზებულია სარეკომენდაციო აქტივობები. აღნიშნული მოთხოვნის შესრულება მოითხოვს სასწავლო მიზნის შესაბამისი აქტივობების შერჩევას.

მასწავლებლად მუშაობის საკუთარ გამოცდილებაზე დაკვირვებით, უახლესი კვლევების შედეგების გაცნობით, კოლეგებთან თანამშრომლობით, დავინტერესდი აქტივობებთან დაკავშირებული საკითხებით, რამდენიმე წელია ამ მიმართულებით ვმუშაობ.

აღნიშნულმა განაპირობა საკვლევი თემით ჩემი დაინტერესება.

კვლევის მიზანი: სასწავლო მიზნის მისაღწევად ეფექტური აქტივობების შერჩევის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა.

კვლევის ამოცანები:

I. სასწავლო მიზნისა და აქტივობების ურთიერთმიმართების პრობლემის განხილვა
II. გაკვეთილის ტიპების შესაბამისი აქტივობების შერჩევა
III. აქტივობების შესრულებისთვის ფორმების განსაზღვრა
IV. სასწავლო მიზნის მისაღწევად ეფექტური აქტივობების შერჩევა, დამუშავება და გაზიარება

კვლევის მეთოდები: წყაროების ანალიზი, დასკვნა, ინტერვიუ, ფოკუსირებული დაკვირვება, პედაგოგიური გამოცდილების ანალიზი, საცდელი მუშაობა.

კვლევის მეცნიერეული სიახლე: სასწავლო მიზნის მისაღწევი აქტივობების შერჩევის ახალი მიდგომები განხილულია სასწავლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნების

შესაბამისად. ინგლისური ენის სწავლება/სწავლის მაგალითზე დამუშავებულია აქტივობები საველე და ინტეგრირებული გაკვეთილის დიფერენცირებული სწავლებისათვის, მოცემულია აქტივობების შეფასების მახასიათებლები. მათი გამოყენების ეფექტურობა დადასტურებულია საცდელი მუშაობითა და გამოცდილების გაზიარებით.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა: ნაშრომში მოძიებული და გამოყენებულია სასწავლო მიზანთან, აქტივობების მიმართებებთან დაკავშირებული პედაგოგიური, მეთოდური, უახლესი კვლევების მასალები. მოცემულია მათი კრიტიკული ანალიზი. სასწავლო მიზნისა და აქტივობების ურთიერთმიმართებასთან დაკავშრებით.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომში მასალები წარმოდგენილია ნიმუშების, გეგმების, რეკომენდაციების ფორმით, რაც ამაღლებს მისი პრაქტიკული გამოყენების ხარისხს.

კვლევის ბაზა: საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ინტერნეტ ბიბლიოთეკა, პირადი არქივი, გეგელიძეებისა და ჯალაბაშვილების საჯარო სკოლები.

კვლევის გამოყენების სფერო: უნივერსიტეტის განათლების მიმართულების სტუდენტები, ინგლისური ენის მასწავლებლები, დაინტერესებული პირები, მკვლევრები.

ნაშრომის აბრობაცია: ნაშრომი გავაცანი მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტებს 2020 წლის იანვარში. სასწავლო მიზნის შესაბამისი აქტივობების გამოყენების გამოცდილება გაზიარებულ იქნა მასწავლებელთა კონფერენციაზე (2019 წელი).

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება: შესავალის, ორი თავის, ხუთი პარაგრაფის, დასკვნებისა და ლიტერატურის დასახელებისაგან.

ნაშრომის მოკლე შინაარსი

პირველი თავის: სასწავლო მიზნისა და აქტივობების ურთიერთმიმართების პრობლემა, პირველი პარაგრაფში - სასწავლო მიზნის რაობის პრობლემა

განხილულია სასწავლო მიზნის რაობის პრობლემა. სასწავლო მიზნის განმარტება და ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების მოთხოვნები სასწავლო მიზნისა და აქტივობების შესაბამისობასთან დაკავშირებით. მოცემულია კვლევის შედეგები სასწავლო მიზნის განსაზღვრებასთან მიმართებაში. გაანალიზებულია ტიპური შეცდომები, რომლებსაც მასწავლებლები უშვებენ გაკვეთილის დაგეგმვისას. მოცემულია მათი დაძლევის გზები.

მეორე პარაგრაფში - ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაანალიზებულია სასწავლო გეგმის მოთხოვნები. აქტივობების გამოყენებასთან დაკავშირებით მოცემულია აქტივობების ჩამონათვალი და მათი გამოყენების შესაძლებლობები.

მესამე პარაგრაფში - გაკვეთილის ტიპები და აქტივობების შერჩევა. მითითებულია, რომ სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების დაგეგმვაში მიზნის მისაღწევი აქტივობების შერჩევისას გასათვალისწინებელია მოსწავლეთა ცოდნა, უნარები, მათი შესაძლებლობა და გამოცდილება.

მეოთხე პარაგრაფში - აქტივობის შესრულების ფორმები. წარმოდგენილია აქტივობების შესრულების ისეთი ფორმები, როგორიცაა წყვილებში, ჯგუფებში, ინდივიდუალური მუშაობა. აღწერილია მუშაობის პროცედურა, ძირითადი მახასიათებლები, დიფერენცირებული სწავლების საკითხები.

მეორე თავის: სწავლების მიზნის მისაღწევად ეფექტური აქტივობების გამოყენების გამოცდილება, მეხუთე პარაგრაფში - აქტივობები სხვადასხვა სახის სასწავლო პროცესში

აღწერილია ავტორის მიერ შემუშავებული აქტივობები და მათი გამოყენების შედეგები. განსაკუთრებით ეფექტური შედეგით ხასიათდებოდა გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილები, რომლებიც საველე გაკვეთილის ფორმით ჩატარდა. ინტეგრირება მოხდა რამდენიმე სასწავლო საგნის. ჩატარებული საქმიანობა აღწერასთან ერთად ფოტომასალითაც არის წარმოდგენილი.

თავი პირველი

სასწავლო მიზნისა და აქტივობების ურთიერთმიმართების პრობლემა

§1. სასწავლო მიზნის რაობის პრობლემა

წინასწარ/შენაძენი სასწავლო მიზანი არის მოსწავლის მიერ სწავლება/სწავლით განსაზღვრული შედეგი/მიზანი. ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში საგნობრივი სტანდარტები ადგენს იმ შედეგების ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლემ უნდა მიაღწიოს სასწავლო საგანში. მიღწეული შედეგის გაზომვისათვის თითოეული სტანდარტი მოიცავს ინდიკატორს, რომელიც თვალსაჩინოს ხდის რა დონეზეა მიღწეული შედეგი.

გაკვეთილის გეგმაში სასწავლო მიზანი განისაზღვრება იმ მიმართულებით, რომ შესრულდეს, მიღწეულ იქნას ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი. ამასთან გასათვალისწინებელია მოსწავლეთა საჭიროებები, შესაძლებლობები, მიღწეული დონე, ასაკობრივი თავისებურებანი და სხვა.

პედაგოგიურ მეცნიერებაში გაკვეთილის დაგეგმვის საკითხებთან დაკავშირებით უპირველესად სასწავლო მიზნის სწორად ჩამოყალიბების მნიშნელობაა განხილული. რეკომენდაციები მრავალფეროვანია, მაგრამ ძირითადად გამოხატულია რჩევები იმის თაობაზე, რომ სასწავლო მიზანი ეფუძნებოდეს სასწავლო გეგმას და უზრუნველყოფდეს მოსწავლის გონებრივ, ზნეობრივ განვითარებას. სასწავლო მიზნები მოიცავდა ორ სფეროს ცოდნის შეძენასა და აღმზრდელობით მუშაობას. (დ. ლორთქიფანიძე (1967), ა. გობრონიძე (2000), ვ. გაგუა (2020).

ჩავატარე კვლევა, რომლის მიზანი იყო გამერკვია გასულ საუკუნეში მასწავლებლები როგორ ადგენდნენ საგაკვეთილო გეგმას და რა ადგილი ეჭირა მასში მიზნის განსაზღვრას. ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით გავესაუბრე 30 ვეტერან მასწავლებელს.

კვლევის შედეგები მოსალოდნელზე საინტერესო აღმოჩნდა. თითქმის ყველა რესპოდენტს ახსოვდა როგორ წერდნენ საგაკვეთილო გეგმას. ამ ფაქტს ისინი

განმარტავდნენ იმით, რომ თითქმის ყოველდღე წერდნენ გაკვეთილის გეგმას, რომლის გარეშე სასწავლო ნაწილის გამგე ჩატარებულ გაკვეთილს არ ჩაუთვლიდა. ზოგიერთი 25% აღნიშნავს, რომ სასწავლო ნაწილის გამგე ყოველდღე ამოწმებდა გაკვეთილის გეგმას. დანარჩენი 75% - აღნიშნავს, რომ შემოწმება პერიოდულად, მოულოდნელად ხდებოდა. ეს მომაბეზრებელი იყო. თუმცა ერთგვარ მობილიზებას იწვევდა და განწყობას ქმნიდა. შემდგომ ყოველდღიური გეგმები ჩაანაცვლა საქაღალდეებმა, სადაც გაკვეთილის ერთი ან მთელი თემის გარჩემო დაგეგმვა და მასალების (რესურსების) შეკრება ხდებოდა ერთ საქაღალდეში, რომლის გამოყენება შეიძლებოდა შემდგომ, ისე რომ ხელახლა გეგმის დაწერა საჭირო არ იყო. ამ მიდგომამ მასწავლებელს მეტი დრო მისცა და გეგმებიც უფრო შემოქმედებითი გახდა.

სასწავლო მიზნის განსაზღვრა გამომდინარეობდა სასწავლო საგნობრივი პროგრამებიდან და სახელმძღვანელოებიდან, რომელიც ძირითადი სასწავლო რესურსი იყო. მიზანი აუცილებლად მოიცავდა შესასწავლ ცოდნასა და აღმზრდელობით საქმიანობას, რომელიც დაკავშირებული იყო შესასწავლ მასალასთან.

ასეთი მიზანი ხელს უწყობდა ერის, სამშობლოს ერთგული თაობის აღზრდას, შესწავლილის ცხოვრებასთან დაკავშირებას, ასწავლიდა ბავშვებს სიკეთეს, სიყვარულს, გამტანობას, თავდადებას, სხვისდამი დახმარებას, სიკეთის ბოროტებისაგან გარჩევასა და მშობლების პატივისცემას.

კვლევა იმავე მიზნით ანუ როგორ ადგენენ საგაკვეთილო გეგმას და რა ადგილი უჭირავს მასში მიზნის განსაზღვრას, ჩავატარე XX საუკუნის მასწავლებელთა შორის. 30 მასწავლებელთან ინტერვიუთი გავარკვიე, რომ ისინი ადგენენ ეგრეთ წოდებულ მოკლევადიან ანუ ყოველდღიურ და გრძელვადიან ანუ თემატურ-კალენდარულ გეგმებს. გეგმებს ყოველდღიურად არ წერდნენ. ძირითადად 60 პროცენტი იყენებდა გრძელვადიან გეგმებს, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი თითოეული გაკვეთილი.

სასწავლო მიზნის განსაზღვრას უქვემდებარებდნენ ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებული იყვნენ ცოდნისა და უნარების შეძენასა და განვითარებაზე.

აღმზრდელობითი მიზანი ცალკე გამოყოფილი არ არის, თუმცა გეგმაში ზოგჯერ ისეთი საქმიანობაა მითითებული, რომელიც აღმრდელობით საკითხებს უკავშირდება.

კვლევის შედეგების ანალიზით ცხადი ხდება, რომ გაკვეთილის დაგეგმვაში უმთავრესი ადგილი სასწავლო მიზანს უჭირავს, იგი ექვემდებარება სასწავლო გეგმას ან პროგრამას.

მიმაჩნია, რომ თანამედროვე გეგმებში სასურველია იყოს გამოყოფილი აღმზრდელობითი საკითხიც. იგი უფრო მიზანმიმართულს გახდიდა ამ კუთხით შედეგის მიღწევას.

სასწავლო მიზნის რაობის გარკვევისას სხვადასხვა წყაროებში ყურადღება მივაქციე გიორგი ნოზაძის სტატიას: „მასწავლებლის ტიპური შეცდომები გაკვეთილის დაგეგმვის დროს.“

ეცდომები დაკავშირებულია სასწავლო მიზნის სტატიაში ძირითადი შ განსაზღვრასთან, ამიტომ სტატია ვრცელი ამონაწერით ჩავრთე ნაშრომში. ამასთან სტატია დაკვირვებითი კვლევის შედეგებს ეყრდნობა.

შეცდომა #1 - გაკვეთილის მიზანი არ არის დაზუსტებული, რას გააკეთებენ მოსწავლეები ისეთს, რაზეც დაკვირვება და შეფასება შესაძლებელია. ამგვარი კონკრეტიკის გარეშე მიზანი, როგორც წესი, ბუნდოვანი ან წინააღმდეგობრივია ან სულაც არარეალისტური, მოუზომავად გადამეტებული ან შეუფერებლად შეკვეცილი. ისიც გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლეთა შემოქმედების დეტალური აღწერა ნათელს ხდის, რა შინაარსის სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კლასში. ზერელედ გადმოცემული ან მეტისმეტად ზოგადი ფორმით ჩამოყალიბებული მიზნები ქმნის საფუძველს არასწორი დასკვნებისა და არაადეკვატური გადაწყვეტილებებისთვის, განაპირობებს მოვლენათა მცდარ განვითარებას გაკვეთილის განმავლობაში.

შეცდომა #2 - გაკვეთილის შეფასება მოწყვეტილია/აცილებულია მოსწავლეთა იმ მოქმედებებს, რომლებზეც მიზნებში იყო საუბარი. გაკვეთილის შემდგომი რეფლექსიისთვის მომზადებული შეფასების პუნქტი იმის აღწერაა, როგორ

განსაზღვრავს მასწავლებელი, მიაღწია თუ არა დასახულ მიზნებს მიზნებს მოცემულ გაკვეთილზე. შესაბამისად, შეფასება აუცილებლად შეთანხმებული უნდა იყოს გაკვეთილის მიზნებთან, გადაჯაჭვული უნდა იყოს მიზანში აღწერილ მოსწავლეთა საქმიანობასთან. გაკვეთილის განმავლობაში მოსწავლეთა მიღწევებსა და პროგრესზე ფოკუსირებული შეფასებაა იმის საწინდარი, რომ მომდევნო გაკვეთილები უფრო უკეთ დაიგეგმება და განხორციელდება.

შეცდომა #3 - მოსწავლეთა აუცილებელი წინარე ცოდნა არ არის განსაზღვრული ან არ შეესაბამება გაკვეთილის მსვლელობაში მოსწავლეთა შედეგიანი მონაწილეობისთვის საჭირო კომპეტენციებს. თუ ისიც არ არის გარკვეული, რა უნდა იცოდეს და რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს დავალებების შესრულებაში და გაკვეთილის მიზნებს მიაღწიოს ან მისი მზაობა რადიკალურად არ შეესაბამება შესასრულებელ დავალებებს. კვლევა ადასტურებს, რომ სწავლის ნაყოფიერების 70% დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ფლობენ მოსწავლეები წინარე ცოდნას, ამიტომ წინარე ცოდნა ზუსტად და სრულად უნდა განისაზღვროს, ხოლო თუ წინასწარი სადიაგნოსტიკო ან განმავითარებელი შეფასების შედეგად გაირკვა, რომ მოსწავლეები არ ფლობენ ამ წინარე ცოდნას, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ეს ხარვეზები უნდა აღმოიფხვრას და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს საგაკვეთილო მიზნების განხორციელებაზე ზრუნვა.

შეცდომა #4 - გაკვეთილისთვის განსაზღვრული/მომზადებული რესურსები და დამხმარე მასალები არაარსებითია, მხოლოდ თვალს ჭრის, შინაარსობრივ კავშირებს კი არ წარმოადგენს, მოჩვენებითად ამშვენებს გაკვთილს. მხოლოდ ის რესურსებია აუცილებელი, რომლებიც მიზნებში აღწერილი მოქმედებებით გაჯერებული აქტივობების ჩასატარებლადაა საჭირო. თვალსაჩინოებითა და სხვა რესურსებით გადატვირთვა სულაც არ სძენს გაკვეთილს ღირსებას, თუმცა არც მათი სიმწირე წაადგება ცოდნის ათვისების პროცესს.

შეცდომა #5 - სასწავლო პროცესი, რომელშიც მოსწავლეები უნდა ჩაებან, არ არის საკმარისად ნაყოფიერი იმის ასათვისებლად, რაც მიზნადაა დასახული. სასწავლო გეგმები, როგორც წესი, გადატვირთულია და მოსწავლეთა მიერ ამდენი სასწავლო მასალის ასათვისებლად უკიდურესად ეფექტიანი აქტივობების დაგეგმვაა საჭირო.

ეფექტიანობა საზომია იმისა, რომ აქტივობის ჩატარებისას ნაკლები ძალისხმევით მიიღწევა იგივე შედეგი ან იმავე ძალისხმევით - მეტი. სხვაგვარად, სასწავლო პროცესი არა მარტო მოსწავლეზე, არამედ შედეგზე ორიენტირებულიც უნდა იყოს და აქტივობათა რამდენიმე შესაძლო ვარიანტიდან ის უნდა განხორციელდეს, რომელიც უფრო ნაკლები ძალისხმევით უფრო მეტ შედეგს გამოიღებს, რათა არც მოსწავლეები გადაიღალონ და არც მასწავლებელს გაუწყდეს ქანცი. მთავარია ხარისხი და არა რაოდენობა: უმჯობესია ნაკლები სავარჯიშო შესრულდეს, მაგრამ უფრო გულდასმით და სიღრმისეული წვდომით, ვიდრე ბევრი სავარჯიშო დახვავდეს, თავბრუვდამხვევი კალეიდოსკოპის შთაბეჭდილება შეიქმნას და მხოლოდ ზედაპირზე სრიალით შემოვიფარგლოთ. ყოველ დავალებას კონკრეტული წვლილი უნდა შეჰქონდეს გაკვეთილის მიზნის მიღწევაში. მისაღებია მხოლოდ ის ვარიანტი, როდესაც მზარდი სირთულის, თანმიმდევრობით დალაგებული მიზანმიმართული აქტივობების ოპტიმალურ სისტემას საფეხურებრივად მიჰყავს მოსწავლეები საჭირო კომპეტენციების დაუფლებისკენ.

შეცდომა #6 - მოსწავლეთა საქმიანობა გაკვეთილის განმავლობაში არ უწყობს ხელს დასახული მიზნების მიღწევას. თანამედროვე გაკვეთილი აღარ ტოვებს დროს მომხიბვლელი, მაგრამ თვითმიზნური აქტივობებისთვის, რომლებსაც პირდაპირ არ მივყავართ საგაკვეთილო მიზნისკენ. მოსწავლეები მხოლოდ იმისთვის არ უნდა ფუსფუსებდნენ გაკვეთილზე, რომ რამით იყვნენ დაკავებული. მიზანმიმართული აქტივობების ზედმიწევნით ზუსტად და სრულყოფილად შესრულებისკენ მოსწავლეების წასაქეზებლად უმნიშვნელოვანესია როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მოტივაციაც - სწორი შეფასების სქემის/რუბრიკის შედგენა მოსწავლეებთან ან მათთვის ასეთი სქემის წინასწარ, აქტივობის დაწყებამდე გაცნობა; აგრეთვე ნიშნების დახვეწილი სკალის გამოყენება იმ კლასებში, სადაც ნიშნები იწერება.

ყველა ეს შეცდომა აუცილებლად მოუვა მასწავლებელს, თუ მის გონებაში მომწიფდა საინტერესო იდეა გაკვეთილისთვის, მაგრამ:

- მან გაკვეთილი არ დაგეგმა მეტ-ნაკლებად დეტალური ჩანაწერების შესრულების გზით და მომდევნო დღეს სპონტანურად წარმართა იგი საკუთარი გამოცდილებისა და იმპროვიზაციის უნარის იმედად, ან

- გაკვეთილის დაგეგმვის ჩვეული წესი, დაგეგმვის სახელმღვანელო სქემა/ჩარჩო შეუფერებელია მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული გაკვეთილისთვის, ან
- გაკვეთილის მსვლელობის მისეული ხედვა კვლავაც ტრადიციულია და ძვალრბილში ისე აქვს გამჯდარი, რომ ვერაფრით ახერხებს მისგან განთავისუფლებას საგაკვეთილო ვითარებაში.

ამიტომ მნიშვნელოვანია გაკვეთილების დაგეგმვაზე მუშაობის ხერხების გაცნობიერება, რათა თავიდან ავიცილოთ ზემოთ ჩამოთვლილი ტიპური შეცდომები და ამით გამოწვეული მძიმე შედეგები სწავლებაში.

ამრიგად, სასწავლო მიზანი არის გაკვეთილის დაგეგმვის ძირითადი ელემენტი, რომელიც ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

მიღწეული შედეგების ხარისხს განაპირობებს მოსწავლეებისა და მასწავლებლის მიერ აქტივობათა მოძიება/შედგენა და გამოყენება.

სასწავლო პროცესი იმ აქტივობათა თანმიმდევრობაა, რომელსაც მასწავლებელი და მოსწავლეები ასრულებენ საგაკვეთილო პროცესში. ამასთან უმეტესი ადგილი უჭირავს მოსწავლის მიერ შესრულებულ აქტივობებს. ასეთ შემთხვევაში ხარისხიანი იქნება სასწავლო მიზნის შესრულება.

§2. აქტივობები ეროვნულ სასწავლო გეგმაში

აქტივობა არის ის საქმიანობა, რომელსაც მასწავლებელი და მოსწავლე ანხორციელებენ სასწავლო პროცესში. აქტივობა მოგვიგებს კითხვაზე: რას ვაკეთებ?

აქტივობა შეიძლება იყოს მოსწავლის შესასრულებელი, შეიძლება იყოს მასწავლებლის შესასრულებელი.

მასწავლებლებთან გასაუბრებით გავარკვიე, რომ ხშირად აქტივობა და მეთოდი ერთმანეთში ერევათ. ამის მიზეზი ისიც არის რომ ერთი და იგივე ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მეთოდი და როგორც აქტივობა. განსხვავება ის არის რომ აქტივობის შემთხვევაში საქმიანობის გამომხატველი არის - რას ვაკეთებ?, ხოლო მეთოდის შემთხვევაში - რატომ ვაკეთებ?.

აქტივობის შესრულებისას მეთოდის გამოყენება აუცილებელია ანუ მიზნის მისაღწევად რას ვაკეთებ და როგორ ვაკეთებ.

სასწავლო მიზნის მისაღწევი საქმიანობის დაგეგმვა იმგვარად ხდება, რომ განხორციელდეს მიზანმიმართული საქმიანობა და მოსწავლე აღჭურვილი იყოს იმ მეთოდებით, რომლითაც საქმიანობას განახორციელებს.

შევისწავლე აქტივობათა სახეები მეთოდურ ლიტერატურაში, სატრენინგო მასალებში, სასკოლო საქმიანობაში და მეტი სიცხადისათვის ჩამონათვალი ჩავრთე ნაშრომში. ამასთანავე უნდა ვთქვა, რომ ეს არ არის სრული ჩამონათვალი.

- წაკითხვა
- დაწერა
- მუშაობა წყვილებში
- მუშაობა ჯგუფებში
- ვიდეოჩვენება და ანალიზი
- რეფლექსია
- თვალსაჩინოების დემონსტრირება
- პრეზენტაცია

- დისკუსია: მუშაობა წყვილებში და ჯგუფებში ან საერთო
- როლებში თამაში
- სიტუაციური ამოცანის ამოხსნა
- დრამა
- შეკითხვები და პასუხები
- ჩანაწერი ბლოკნოტში
- პროექტზე მუშაობა
- ილუსტრაციის აღწერა
- საკლასო დავალების შესრულება
- მონაცემთა შეგროვება
- ვიქტორინა
- წერითი სამუშაოს შესრულება
- ზეპირი დავალების შესრულება
- უკუკავშირის მიცემა
- „სასწავლო გაჩერებები“
- კვლევა
- სავარჯიშოების შესრულება
- ინფორმაციის შეჯამება

ჩამონათვალი შესაძლებელია კიდევ გაგრძელდეს, მაგრამ აქ შევჩერდები, რადგან განვიხილავთ ისეთ საკითხს, როგორიცაა ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული აქტივობები.

ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში ძირითადი სიახლე არის სტანდარტების მისაღწევი აქტივობების მითითება.

ნიმუშისათვის განვიხილავთ V კლასის ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აქტივობებს მისაღწევი შედეგების მიხედვით.

მისაღწევი შედეგები: მიმართულება ზეპირი მეტყველება

Iუცხ.დაწყ.(II).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტის მოსმენა/მოსმენა-ყურება და გაგება.

Iუცხ.დაწყ.(II).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, რამდენიმე წინადადებიანი მონოლოგის წარმოთქმნა.

Iუცხ.დაწყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით ელემენტარული ენობრივი უნარ-ჩვევების გამოყენება.

Iუცხ.დაწყ.(II).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირი მეტყველების ამოცანების შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.

სტანდარტის მისაღწევი აქტივობების ნიმუშები

აქტივობათა ნიმუშები:

- ტექსტის შინაარსის მიხედვით კითხვებზე პასუხის გაცემა;
- მოცემული ვარიანტებიდან სწორი/არასწორი ინფორმაციის მონიშვნა;
- პერსონაჟებისა და რეპლიკების ურთიერთდაკავშირება;
- მოსმენილი ტექსტის მიხედვით შესაბამისი ილუსტრაციების დანომრვა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით;
- ტექსტის მიხედვით სავარჯიშოში გამოტოვებული ადგილების შევსება შესატყვისი სიტყვებით/ფრაზებით;
- მოსმენილი ტექსტის მიხედვით რეკლამის ნაკლული ინფორმაციის შევსება;
- მინიინტერვიუების ჩამორთმევა თანაკლასელებისათვის ნაცნობი თემების გარშემო (მაგ: არდადეგები, საცხოვრებელი ადგილი, მეგობრები, საყვარელი დღესასწაულები და სხვა);
- აღწერილი სიტუაციების მიხედვით სიმულაციური დიალოგების გათამაშება;
- დამალული საგნის, ჩაფიქრებული სიტყვის გამოცნობა კითხვა-პასუხზე დაყრდნობით;
- ორი სურათის მსგავსება-განსხვავებაზე საუბარი;
- საცხოვრებლის, ქალაქის, ოჯახის და ა.შ. აღწერა თვალსაჩინოებაზე დაყრდნობით;
- სკოლისკენ ან სახლისაკენ მიმავალი გზის აღწერა;
- ჯაჭვური თხრობა-მოსმენილი ფრაზების განმეორება და გაგრძელება;

აქტივობები შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგი ტიპის ტექსტებს:

ა) სასწავლო მიზნებით შედგენილი მოსასმენი ილუსტრირებული ტექსტები, თემატური დიალოგები/მონოლოგები, მარტივი ამბავი, ილუსტრაცია, საგზაო მარშრუტი;

ბ) ადაპტირებული ილუსტრირებული მოთხრობა;

გ) მულტიმედიური ტექსტები: ანიმაციური ფილმი, რეკლამა, საბავშვო რეკლამა, ვიდეო თამაშები ენობრივი კონსტრუქციებისა და ლექსიკური ერთეულების ასათვისებლად, აუდიო-ვიდეო მასალა საპროგრამო თემატიკაზე;

დ) სასწავლო მიზნით შედგენილი ტექსტები, ადაპტირებული მოთხრობები;

ე) მარტივი შემეცნებითი ტექსტები;

ვ) მულტიმედიური ტექსტები: საბავშვო სპექტაკლი, აუდიო-ვიდეო ტექსტები, განმავითარებელი თამაშები.

მოსწავლეთა მიერ სასწავლო მიზნის მიღწევის დონის შესაფასებლად სასწავლო გეგმაში მოცემულია ინდიკატორები.

I შედეგისათვის

მოსწავლე:

- ამოიცნობს სასაუბრო თემას, კონტექსტს, თანამოსაუბრეებს;
- განარჩევს ფამილარულ და თავაზიან ფორმულებს;
- ამოიცნობს კონკრეტულ დეტალებს (სად, როდის, რამდენი, როგორი და სხვა);
- ამოიცნობს ამბის განვითარების ეტაპებს (როგორ დაიწყო, რა მოხდა, როგორ დამთავრდა);
- განსაზღვრავს მოქმედებათა დროსა და ადგილს;
- ამოიცნობს პერსონაჟების ემოციებს, დამოკიდებულებას;
- პერსონაჟთა საქციელიდან გამომდინარე, გამოაქვს დასკვნა მათი ხასიათის, თვისების შესახებ;

- განარჩევს ინტონაციით გამოხატული ნათქვამის მოდალობას (თხოვნა, შეკითხვა, ბრძანება).

II შედეგისათვის

მოსწავლე:

- გაითამაშებს მარტივ დიალოგებსა და სცენებს; ტექსტების წარმოთქმისას იცავს შესაბამის ინტონაციასა და რიტმს;
- მონაწილეობს მარტივ ინტერაქციაში; სვამს/პასუხობს კითხვებს კონკრეტულ საკლასო სიტუაციასთან დაკავშირებით;
- სვამს/პასუხობს მარტივ კითხვებს მისთვის ნაცნობი თემების, ნასწავლი ტექსტის შინაარსის შესახებ;
- მონაწილეობს სიმულაციურ სიტუაციაში (მაგ., მაღაზიაში, შეხვედრა ქუჩაში/პარკში თანატოლებთან/უფროსებთან);
- აღწერს გარემოს (ოთახს, ქუჩას, სურათს);
- მარტივი ენით ჰყვება ნანახ ან გაგონილ ამბავს;
- საუბრობს მისთვის ნაცნობ თემებზე (მაგ., ოჯახი, ნათესავები/მეგობრები, თავისუფალი დრო და სხვა).

III შედეგისათვის

მოსწავლე:

- ინტერაქციისას შეარჩევს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის მიმართვის ფორმებს, გამოთქმებს, კლიშეებს, ენობრივ კონსტრუქციებს;
- იცავს შესაბამის ინტონაციას სხვადასხვა მოდალობის წინადადებების წარმოთქმის დროს;
- იყენებს ადგილმდებარეობის გამომხატველ მარტივ ენობრივ საშუალებებს;
- იცავს ელემენტარულ სინტაქსურ მიმართებებს წინადადებების წევრებს შორის (ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება პირსა და რიცხვში);
- სათანადოდ იყენებს ნასწავლ ლექსიკურ ერთეულებს.

IV შედეგისათვის

მოსწავლე:

- გამოთქვამს ვარაუდს შინაარსის შესახებ სათაურის, ილუსტრაციების, არავერბალური ელემენტების საფუძველზე;
- ცდილობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების, წინადადებების მნიშვნელობის დამოუკიდებლად ამოცნობას ნაცნობ ელემენტებზე დაყრდნობით (მაგ., კონტექსტი, ილუსტრაცია და სხვა);
- მშობლიურ ენაზე აღწერს, რა ხერხით/გზით მოახერხა მოსასმენი ამოცანის გადაჭრა.

ამრიგად, ეროვნული სასწავლო გეგმით უცხოურ ენაში (ინგლისური) მიმართულებების მიხედვით მოცემულია მისაღწევი შედეგი სტანდარტის სახით, რომლის გათვალისწინება გაკვეთილის დაგეგმვისას სასწავლო მიზნის განსაზღვრისათვის აუცილებელია.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულია სასწავლო მიზნის მისაღწევი აქტივობები, რომელიც წარმოადგენს ორიენტირს აქტივობათა სწორად შერჩევისათვის.

მოსწავლის მიერ აქტივობათა შესრულებით სასწავლო მიზნის მიღწევის დონის განსაზღვრისათვის მოცემულია სტანდარტების შესაბამისი ინდიკატორები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრას.

§3. გაკვეთილის ტიპები და აქტივობების შერჩევა

აქტივობების მრავალფეროვნებიდან სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად შესარჩევია რამდენიმე. აქტივობათა შერჩევა დამოკიდებულია გაკვეთილის ტიპზე. საკითხის უკეთ წარმოჩენისთვის განვიხილავთ გაკვეთილის ტიპებს.

თავდაპირველად მინდა გავიხსენო სიტყვები, რომელმაც ერთხელ კიდევ მძაფრად განმაცდევინა მასწავლებლობის როგორც პროფესიის პასუხისმგებლობა.

„მე მასწავლებელი, ქედს ვუხრი, გაკვეთილო, შენს დიდსულოვნებას, შენს გულს, ბავშვებზე სრულ ზრუნვას, შენს სულს, რომელიც მიმართულია მათი მომავლისაკენ. ქედს ვიხრი და მადლობას გიძღვნი, რომ შენ მეხმარები მე აღვზარდო სამშობლოს ღირსეული ადამიანები და ამასთან მანიჭებ ბედნიერებას ვიცხოვრო პედაგოგიური ცხოვრებით.

„მე აგიგებდი, შენ, გაკვეთილო დიდებულ ძეგლს ვარდისფერი მარმარილოდან“ - ეს სიტყვები ეკუთვნის მეცნიერსა და მასწავლებელს შალვა ამონაშვილს.

ყველანი ჩვენ ბავშვობიდან მოვდივართ, ჩვენი ბავშვობა კი გაკვეთილიდან მოდის. ნაცნობი და ახლობელი, ცვალებადი და სიახლეების მოყვარული გაკვეთილი ისევ იპყრობს ჩვენს ყურადღებას.

პედაგოგიკაში, ისევე როგორც მეცნიერების ყველა დარგში, ხდება გარკვეული ცვლილებები, სწავლების ორგანიზაციის ფორმების სრულყოფა, მიუხედავად ამისა, გაკვეთილი მაინც რჩება სწავლების ორგანიზაციის უმთავრეს ფორმად.

პედაგოგის პრაქტიკაში გაკვეთილის სხვადასხვა ტიპები. მასწავლებელი ამა თუ იმ ტიპის გაკვეთილის რჩევისას ითვალისწინებს: საგნის თავისებურებებს, შესწავლილი მასალის ხასიათს, მოსწავლეთა ასაკს, კლასის შემადგენლობას, შესაძლებლობას, გამოსაყენებელი მეთოდების ეფექტურობას.

გავიხსენოთ „ზოგადი პედაგოგიკიდან“ შეხედულებები გაკვეთილის ტიპების შესახებ, წიგნიდან „პედაგოგიკა“ 1969, აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძის რედაქტორობით.

1) კონბინირებული გაკვეთილი
2) გაკვეთილი ახალი მასალის
3) განმეორება-განზოგადების გაკვეთილი

მეცნიერი ნიკოლოზ გუზოვი (წიგნიდან „ვისწავლოთ სწავლა“ 1981)

1) თემის საერთო განხილვისა და მისი შესწავლის მეთოდიკა
2) კომბინირებული სემინარული მეცადინეობა
3) ცოდნის განზოგადებისა და სისტემატიზაციის გაკვეთილი
4) მასალის განზოგადების გაკვეთილი საგანთა შორის
5) გაკვეთილი-პრაქტიკული

დიდაქტიკოსები: ისააკ ლერნერი, მიხეილ სკატკინი (წიგნიდან „საშუალო სკოლის დიდაქტიკა“ 1981)

1) ახალი მასალის გადაცემისა და შესწავლის გაკვეთილი
2) ცოდნის გამოყენების, უნარისა და ჩვევების ფორმირების გაკვეთილი
3) ა და უნარის შემოქმედებითად გამოყენების პრობლემური გაკვეთილიცოდნის
4) განმაზოგადებელი განმეორების, ცოდნისა და უნარის სისტემატიზაციის გაკვეთილი
5) სხვადასხვა ელემენტების შერწყმის გაკვეთილი

მეცნიერი ვასილი ონიშუკი (წიგნიდან „გაკვეთილი თანამედროვე სკოლაში“ 1981)

- ცოდნის, უნარებისა და ჩვევების შემოწმების, შეფასების კორექციის გაკვეთილი
- კომბინირებული გაკვეთილი
- ცოდნის კომპლექსურად გამოყენების გაკვეთილი

აკადემიკოსი ალექსანდრე გობრონიძე (წიგნიდან „პედაგოგიკა“ 2000)

1) კომბინირებული ანუ შერეული გაკვეთილი
2) ეთილიახალი ცოდნის გადაცემის გაკვ
3) შესასწავლი მასალის განმტკიცების გაკვეთილი
4) გაკვეთილი, რომლის მიზანია შესწავლილის განზოგადება და სისტემატიზაცია

5) ცოდნის, უნარისა და ჩვევების გამომუშავების გაკვეთილი

როგორც აღვნიშნეთ, სასწავლო მიზანი არის მოსწავლის მიერ სწავლით შესაძენი წინასწარ განსაზღვრული შედეგი, ახალი გამოცდილება. სასწავლო მიზნები გამოხატავენ იმას, რასაც სწავლის პროცესში უნდა მივაღწიოთ, ანუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინოს მოსწავლეებმა.

სასწავლო მიზნები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი პროგრამების მოთხოვნებს, რომლებიც თავის მხრივ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განისაზღვრება.

სასწავლო მიზანი იგეგმება გაკვეთილის ტიპის გათვალისწინებით. შესაბამისად ხდება აქტივობების შერჩევა ანუ მასწავლებელმა დაგეგმოს ის ქმედებები, რომლებიც სასწავლო მიზნის მიღწევას ემსახურება. მიზნიდან გამომდინარე მასწავლებელმა შეიძლება დაგეგმოს ერთი და რამდენიმე აქტივობა და მათი ჩატარების თანმიმდევრობა. აქტივობა ისე უნდა დაიგეგმოს, რომ მასწავლებელმა გაითვალისწინოს, თუ კონკრეტულად რის გაკეთება მოეთხოვება მოსწავლეებს, რა როლი უნდა შეასრულოს მან მთლიანად ამ პროცესში.

გაკვეთილის აქტივობის დაგეგმვის დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ცდილებამოსწავლეთა ცოდნა და უნარები, მათი შესაძლებლობა და გამო.

აქტივობა რაღაცის კეთებას ნიშნავს, ესაა ის, რასაც მასწავლებელი და მოსწავლე საქმიანობს გაკვეთილზე. ყველა აქტივობას თავისი მიზანი აქვს, რომელიც შესაბამისობაშია სასწავლო მიზანთან. აქტივობა შეიძლება იყოს: კლასისათვის ინსტრუქციის მიცემა, კითხვები და პასუხები, ტექსტზე მუშაობა, თვითშეფასება, კითხვა, წერა, ხატვა, ფილმის ჩვენება, პროექტზე მუშაობა, დისკუსია, დემონტრირება, პრეზენტაცია, წაკითხულის გააზრება და მისთ.

აქტივობის შესრულებისათვის მოსწავლეს ეძლევა ინსტრუქცია. აქტივობიდან ალისწინებელია რითი შეუწყობს ხელსაქტივობაზე გადასვლის პროცესში გასათვ აქტივობა დასახული მიზნის მიღწევას და რამდენად არის მზად მოსწავლე მის შესასრულებლად.

გაკვეთილის მიზანმა, შინაარსმა შეიძლება გვიკარნახოს მისი ისეთი აგებულება, როცა გაკვეთილის ტიპები ერთდროულად წყვეტდეს რამდენიმე დიდაქტიკურ ამოცანას, იმავდროულად ააქტიურებს მოსწავლეთა უკვე შეძენილ ცოდნას, ატარებს გამოკითხვას, გზადაგზა აყალიბებს მათ სასწავლო შრომის უნარს და ჩვევებს. ასეთი თანმიმდევრობით და დროდადრო ერწყმიან ერთმანეთს (ალ. გობრონიძე. 2000, 165).

არსებობს გაკვეთილის სხვადასხვა ფორმატი: ა) ერთი მასწავლებელი და ბევრი მოსწავლე; ბ) ერთი მასწავლებელი და ერთი მოსწავლე (კერძო მეცადინეობა); გ) ფორმალური სწავლის დრო მასწავლებლის გარეშე სახელმძვანელოებისა და მულტიმედიის გამოყენებით; დ) ვიდეო კონფერენცია - სხვადასხვა სივრცეში განთავსებულ მოსწავლეებისა და მასწავლებლის მიერ ერთობლივად წარმართულ სასწავლო პროცესში.

გაკვეთილის ტიპები:

- კონბინირებული გაკვეთილი
- ახალი მასალის ახსნის გაკვეთილი
- განმეორება-განზოგადება
- თემის საერთო განხილვისა და მისი შესწავლის მეთოდიკაზე დაუფლების
- ცოდნის განზოგადებისა და სისტემატიზაციის
- საგანთა შორის მასალის ან პრობლემების განზოგადების
- გაკვეთილი პრაქტიკული მუშაობა
- ახალი მასალის გადაცემისა და შესწავლის
- ცოდნის გამოყენების, უნარებისა და ჩვევების ფორმირების
- სისტემატიზაციის გაკვეთილი
- სხვადასხვა ელემენტის შერწყმის
- ცოდნის, უნარებისა და ჩვევების შემოწმების შეფასების გაკვეთილი
- ცოდნის კომპლექსურად გამოყენების
- გაკვეთილი ინტერვიუ
- საგანმანათლებლო სემინარი
- გაკვეთილი გამოფენა (ესეების, თხზულებების და სხვა)
- ურთიერთ სწავლების გაკვეთილი „მე ვიკვლევ ...

- წერის გაკვეთილები (ა, არჩევით წერა, საავტორო სკამი და თავისუფალი წერ სხვა)
- გაკვეთილი შეხვედრა
- გაკვეთილი ექსკურსიის
- საველე გაკვეთილი
- საკლასო კონფერენცია
- გაკვეთილი დიალოგი
- შებრუნებული საკლასო ოთახი

სამოდელო გაკვეთილის ტიპები:

- ინტეგრირებული
- პრობლემებზე ორიენტირებული
- დაუფლების გამჭოლ კომპეტენციებზე
- ინოვაციური

რა არის სამოდელო გაკვეთილი

პედაგოგიური თვალსაზრისით სამოდელო გაკვეთილი მოიცავს შემოქმედებით მიდგომას, პედაგოგიური თვალსაზრისით არის ინოვაციური და ორიგინალური.

თამატური ან მეთოდური სიახლე წარმოდგენილია საინტერესოდ და გაზიარებაა შესაძლებელი.

სასარგებლოა კოლეგებისთვის, ეხმარება მათ პროფესიულ განვითარებაში და ბადებს საკუთარ პრაქტიკაზე მორგების გამოყენების სურვილს. წაახალისებს მასწავლებელს ახალი იდეების პრაქტიკაში დანერვისათვის, იწვევს მოსწავლეების დაინტერესებას. მასალა თანმიმდევრულად არის მიწოდებული მოსწავლეებისათვის, რაც შედეგის სრულად მიღწევის საშუალებას იძლევა.

რა შეიძლება იყოს ინოვაციური, შემოქმედებითი, ორიგინალი?

გაკვეთილის ორგანიზაცია, შერჩეული აქტივობები, სტრატეგიები-მეთოდები, შეფასების სქემა ან რუბრიკა, რესურსები და ასე შემდეგ. სიახლე წარმოჩინდება მკაფიოდ, წარმოდგება და აღიწერება ისე, რომ სხვამ შეძლოს მისი გამოყენება, რეფლექსიაში გამოჩნდეს რა სიახლე იქნას შემოთავაზებული და რა შედეგი.

ინტეგრირებული გაკვეთილი

ინტეგრირებული გაკვეთილი არის ერთი და იმავე მონათესავე ან გამჭოლი თემატიკის ირგვლივ გაერთიანებული ორი რამდენიმე სასწავლო საგნის მიერ დაგეგმილი ან ჩატარებული გაკვეთილი, შესაძლებელია ინტეგრირება საგნის შიგნით.

იდეა შეირჩევა შესასწავლი თემიდან გამომდინარე. იკვეთება მისი მჭიდრო კავშირი სხვა საგნებთან, რომელთანაც ინტეგრირება იგეგმება.

უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინტეგრირებული საგნების ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა.

ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვის პროცედურა

იდეის ჩამოყალიბება

სახელმძღვანელოში მოცემული მასალის შესწავლა

საწყისი ინფორმაციის მოძიება

რესურსების მოძებნა და მომზადება

გაკვეთილის მონახაზის გაკეთება და გაცნობა კოლეგებისთვის

სასწავლო მიზნის ჩამოყალიბება ინტეგრირებული საგნების მიხედვით

აქტივობების შერჩევა

სტრატეგიებისა და მეთოდების არჩევა

შეფასების ფორმებისა და მეთოდების არჩევა

ავირჩიოთ ინტეგრირებისათვის რა შეიძლება?

ერთნაირი პრობლემა სხვადასხვა საგნისათვის, ერთ საგანში მოცემული მოვლენის ან ფაქტის განვითარება სხვა საგნის მეშვეობით;

ერთ საგანში მოცემული მასალის შესახებ დამატებითი ინფორმაცია;

ერთ საგანში მოცემული მასალის სხვადასხვა ასპექტით, რაკურსით ხედვა;

ინოვაციური გაკვეთილი

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან ერთად მასწავლებელი მოიძიებს ინფორმაციას მისი საგნის სფეროში არსებული ცვლილებებისა და სიახლეების შესახებ.

საგანში სიახლეების გაცნობა შეიძლება „მდგრადი განვითარების გლობალური მიზნით“, ჟურნალი national-geography საქართველო.

სიახლეების მეთოდიკაში

საგანში არსებული სიახლეები მეთოდიკაში - ვებ გვერდზე გამოქვეყნებული სტატიები, სტრატეგიები, მეთოდები და ასე შემდეგ.

თავად შეიმუშავოს ახალი მეთოდიკა.

ა) სიახლეების მოძიება საგანში

მიზნის განსაზღვრა ე.ს.გ.-თი

შედეგების განსაზღვრა: „რას მისცემს მოსწავლეებს სიახლეების გაცნობა“

რესურსების მოძიება და გამოყენება

აქტივობების შერჩევა

შეფასების ფორმებისა და მეთოდების შემუშავება

რა მოიფიქრა, რატომ აირჩია ეს სიახლე

რამდენად სანდოა იგი და რა შემატა ახალი მოსწავლის ცოდნას

ბ) სიახლის მოძება მეთოდიკაში

მიზნის განსაზღვრა - რა მეთოდური სიახლეა, რას ასწავლის, რისი დემონსტრირების უნარს შეძლებს მოსწავლე

გასათვალისწინებელია ე.ს.გ.-ს მოთხოვნები

მეთოდები აქტივობები (სრულიად გადმოტანა ან მოდიფიცირება მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული)

რესურსების შერჩევა

შეფასების ფორმებისა და მეთოდების შერჩევა

რეფლექსია - რა იფიქრა, რატომ აირჩია სიახლე და რა შედეგი მიიღო

გ) მასწავლებლის მიერ შემუშავებული ახალი მეთოდიკა

რა ახალი მეთოდიკა შეიმუშავა და რას მოელის

მიზნის განსაზღვა

რესურსების მოძიება

აქტივობების არჩევა, რომელიც მოსწავლეებს გაუიოლებს სიახლის დაუფლებას

შედეგის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება

რეფლექსია: რა ახალს სთავაზობს კოლეგებს, რითი დაახასიათებს, რომ

გამჭოლ კომპეტენციებზე ორიენტირებული გაკვეთილი

გამჭოლ კომპეტენციებს ე.ს.გ. აღწევს

1. წიგნიერება
2. მედიაწიგნიერება
3. ციფრულიწიგნიერება
4. ეკოლოგიური წიგნიერება

5. მრავალ ენობრივი კომპეტენცია
6. სემიოტიკური კომპეტენცია
7. სწავლის სწავლა
8. სოციალური და სამოქალაქო
9. ეთიკა როგორც კომპეტენცია
10. მეწარმეობრივი კომპეტენცია
11. ჯანსაღი ცხოვრების წესი
12. შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება

გაკვეთილის დაგეგმვის პროცესი

განისაზღვრება რომელი თემა რომელი კომპეტენციის განვითარებას შეუწყობს ხელს.

გარკვევა: საგნობრივი, სტანდარტისა და შერჩეული კომპეტენციის ურთიერთკავშირი. შეარჩევს იმ აქტივობას, მეთოდს, სტრატეგიას, რომელიც ხელს შეუწყობს გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას.

რესურსების მომზადება (ინფორმაცია, აპლიკაცია, ელექტრონული რესურსი, თვალსაჩინოება, სამუშაო ფურცლები, დავალებები და სხვა). გასათვალისწინებელია მოსწავლე რა დონეზე ფლობს კომპეტენციას, უკვე იცის და საჭიროა განვითარება თუ უნდა დაეუფლოს. შეირჩევა შეფასების ფორმა, სქემა ან რუბრიკა აქტივობის შესრულების ან მიზნის მიღწევის შედეგის შესამოწმებლად.

რის მიხედვით ირჩევს აქტივობას?

რაობის გაცნობიერება. გამოვყოფთ შერჩეული კომპეტენციის კომპეტენციის მახასიათებელში ჩამონათვალს. შევარჩევთ აქტივობას ან სტრატეგიას. მაგალითად სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის განმარტებიდან ამოვკრებთ მახასიათებლებს:

- საკუთარი თავის შეფასება
- შემოქმედებითობა, ტოლერანტულობა

- ეროვნული ფასეულობების, ტრადიციების დაცვა, მოვლა, შენახვა
- საზოგადოებაში არსებული ნორმების, წესების ცოდნა და შეფასება, პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავება
- გადაწყვეთილების მიღება, რისკი

აქედან შევარჩევთ და შევუსაბამებთ აქტივობას, სტრატეგიას. მაგალითად: მიზანი - ემოციების მართვა, აქტივობა-დისკუსია თემაზე: რა ვუყოთ ემოციებს, გამოვამჟღავნოთ თუ შევაკავოთ.

ხუთწუთიანი ესე-ნაწარმოების მოქმედმა პირმა შეძლო ემოციების მართვა.

შეფასების სქემა

კრიტერიუმი	დიახ	არა
სწორად შეძლო მოქმედი პირის ემოციის გამოცნობა		
გაანალიზა შექმნილ სიტუაციაში ემოციის გამოხატვის ფორმა		
გააკეთა დასკვნა მოქმედი პირის ემოციების მართვის შესახებ		

პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი

პედაგოგიური და მეთოდური წყაროების ანალიზით გაკვეთილის ტიპის მიხედვით, განსაზღვრული სასწავლო გეგმის მიხედვით აქტივობების შერჩევისათვის პრიორიტეტი მივანიჭე აქტივობების შემდეგ ჩამონათვალს.

აქტივობები: რას ვაკეთებ?

- თვალსაჩინოების დემონსტრირება
- პრეზენტაცია მასწავლებლის
- დისკუსიის ორგანიზება
- როლებში თამაში

- საქმიანი თამაში
- სიტუაციური ამოცანების ამოხსნა
- დრამა - მცირე თეატრალური წარმოდგენა
- გახსენება-მოგონებები
- ლექსისა და სიმღერების გამოყენება
- სავარჯიშოები
- შეკითხვები და პასუხები
- პროექტზე მუშაობა
- ჩანაწერი ბლოკნოტში
- ილუსტრაციის აღწერა
- ელექტრონული რესურსის მოპოვება და ჩვენება
- ასო დავალებების შესრულებასაკლ
- ინდივიდუალურად
- წყვილებში, ჯგუფებში
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვისთვის მონაცემთა შეგროვება
- კრიტიკული შეხედულებების ჩამოყალიბებისათვის არგუმენტების მოპოვება და წარდგენა
- საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვა მოცემულ სიტუაციაში
- სახელმძღვანელო, როგორც რესურსის გამოყენება
- ვიქტორინა
- გრამატიკული მასალის პრაქტიკულად გამოყენება
- ციტატის ამოცნობა
- პერსონაჟის ამოცნობა სიტყვიერი მითითებით
- მოქმედი პირის ამოცნობა იმიტაციით
- ინფორმაციის საფუძველზე მწერლის ამოცნობა
- არჩევანით მეთოდის შერჩევა თავისუფალი
- თვითშეფასების სქემაზე ან ცხრილზე მუშაობა
- დაკვირვება საკუთარ და სხვისი საქმიანობის პროცესზე
- დადებითი ამოციური განწყობის შექმნა
- შეკითხვის მომზადება მასწავლებლისთვის

- შეკითხვის მომზადება მეგობრისთვის
- შეკითხვის მომზადება ავტორისთვის
- წერილი ავტორს
- ლი მოქმედ პირსწერი
- წერილი მომავალს
- მსჯელობისათვის პრობლემის შერჩევა
- ერთ წინადადებიანი რეზიუმის მომზადება
- თეზისის მოძიება
- ესეს დაწერა
- გეგმის შედგენა
- ამონარიდის ჩაწერა
- ციტატის ამოწერა
- თხრობა
- შთაბეჭდილების გადმოცემა
- სტროფის ან აბზაცის წაკითხვა და ანალიზი
- შეფასების ორგანიზება ტესტების

აქტივობის შესრულებისათვის

ნათელი გასაგები ინსტრუქციის მიწოდება

სასურველია ინსტრუქცია დაწერილი იყოს სამუშაო ბარათებზე, მოიცავდეს შესრულების მიზანსა და შედეგს.

აუცილებელია აქტივობის შესრულების დროს განსაზღვრა და მისი დაცვა. შესაძლებელია დროის დაცვა, გათვალისწინებულ იქნას შეფასების კრიტერიუმებში. აქტივობის შესრულების დროის გასვლისთანავე მოსწავლე წარადგენს შესრულებულ სამუშაოს. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება დაემატოს დრო.

აქტივობის შეფასება ხდება სქემით, რუბრიკით, ქულებით (განმსაზღვრელი) ან სიტყვებით. რჩევა, წახალისება, კომენტარი, ინსტრუქტაჟი (განმავითარებელი).

შეფასების კრიტერიუმები მოსწავლესთვის ცნობილი უნდა იყოს აქტივობების შესრულებამდე. აქტივობის შეფასებისთვის გამოიყენება შეფასება, თვითშეფასება, თანაშეფასება.

აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლა

- წინასწარ მომზადების გარემო ინდივიდუალური, წყვილებში ან ჯგუფური მუშაობისთვის. მასწავლებელი მკაფიოდ გამოხატავს (მადლობით, წახალისებით და სხვა) ერთი აქტივობის დამთავრებას. განაცხადებს ახალი აქტივობის დაწყებას.
- აკეთებენ მოსწავლეები და საჭიროების მასწავლებელი აკონტროლებს რას შემთხვევაში ეხმარება.
- თვალს ადევნებს ახალი აქტივობის შესრულების დროს წარმოქმნილ სირთულეებს და ზრუნავს მის სწრაფ მოგვარებაზე.

მადლობა ამ აქტივობის დასრულებისთვის და გადავიდეთ შემდეგ აქტივობაზე. ამ აქტივობის შესრულებამ საშუალება მოგვცა გაგვეძლიერებინა წინა აქტივობით მიღწეული შედეგი და სხვა.

აქტივობის ასახვა გაკვეთილის გეგმაში

თითოეულ აქტივობაზე მიეთითება აქტივობის დასახელება, ინსტრუქცია, შედეგი.

შედეგი შესაბამისობაში უნდა იყოს სასწავლო მიზანთან და შედეგებთან.

ამრიგად, გაკვეთილის მრავალფეროვანი ტიპების, სახეების (ინოვაციური, პრობლემაზე ორიენტირებული, გამჭოლ კომპეტენციებზე ორიენტირებული და სხვა) შესაბამისად აქტივობების შერჩევა სასწავლო მიზნის მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

სასწავლო მიზნის მისაღწევად ეფექტურია ისეთი აქტივობების შერჩევა როგორიცაა: თვალსაჩინოების დემონსტრირება, პრეზენტაცია მასწავლებლის,

დისკუსიის ორგანიზება, როლებში თამაში, საქმიანი თამაში, სიტუაციური ამოცანების ამოხსნა, მცირე თეატრალური წარმოდგენა - დრამა, გახსენება-მოგონებები, ლექსისა და სიმღერის გამოყენება, სავარჯიშოები, შეკითხვები და პასუხები, პროექტზე მუშაობა, ჩანაწერი ბლოკნოტში, ილუსტრაციის აღწერა, ელექტრონული რესურსის მოპოვება და ჩვენება, საკლასო დავალებების შესრულება, ინდივიდუალურად, წყვილებში, ჯგუფებში, კრიტიკული შეხედულებების ჩამოყალიბებისათვის არგუმენტების მოპოვება და წარდგენა, საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვა მოცემულ სიტუაციაში, სახელმძვანელო, როგორც რესურსის გამოყენება, ვიქტორინა, გრამატიკული მასალის პრაქტიკულად გამოყენება, ციტატის ამოცნობა, პერსონაჟის ამოცნობა სიტყვიერი მითითებით, მოქმედი პირის ამოცნობა იმიტაციით, ინფორმაციის საფუძველზე მწერლის ამოცნობა, მეთოდის შერჩევა თავისუფალი არჩევანით, თვითშეფასების სქემაზე ან ცხრილზე მუშაობა, დაკვირვება საკუთარ და სხვისი საქმიანობის პროცესზე, დადებითი ემოციური განწყობის შექმნა, შეკითხვის მომზადება მასწავლებლისთვის, შეკითხვის მომზადება მეგობრისთვის, შეკითხვის მომზადება ავტორისთვის, წერილი ავტორს, წერილი მოქმედ პირს, წერილი მომავალს, შერჩევა პრობლემის მსჯელობისათვის, ერთ წინადადებიანი რეზიუმის მომზადება, თეზისი მოძიება, ესეს დაწერა, გეგმის შედგენა, ამონარიდის ჩაწერა, ციტატის ამოწერა, თხრობა, შთაბეჭდილების გადმოცემა, სტროფის ან აბზაცის წაკითხვა და ანალიზი, ტესტების შეფასების ორგანიზება.

აქტივობების შესრულებისათვის აუცილებელია ინსტრუქციის მიწოდება. ინსტრუქცია უნდა იყოს ზუსტი, მოიცავდეს შესრულების პროცედურას.

აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლისათვის საჭიროა აქტივობის შესრულებისათვის საჭირო გარემოს შექმნა, აქტივობაზე გადასვლამდე წამახალისებელი შეფასებით შეფასდება შესრულებული აქტივობა და გაეცნობა ახალი აქტივობა. შესრულების პროცესი კონტროლდება მეთვალყურეობით, წარმოქმნილი სირთულეების დაძლევაში ეხმარება მოსწავლეებს.

§4 აქტივობების შესრულების ფორმები

აქტივობის შესრულებისათვის რეკომენდებულია წყვილებში, ჯგუფებში და დიფერენცირებული მუშაობის ფორმები.

ჩვენი კვლევა, რომლის მიზანი იყო დამედგინა რომელ ფორმას იყენებდნენ აქტივობის შესასრულებლად გაკვეთილზე. კვლევის მეთოდი იყო ფოკუსირებული დაკვირვება. დაკვირვების ობიექტი - საგაკვეთილო პროცესი.

დაკვირვება ჩატარდა 2019 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გეგელიძეებისა და ჯალაბაშვილების საჯარო სკოლებში. კვლევის შედეგები: სხვადასხვა საგანში 30 გაკვეთილზე დაკვირვების შემდეგ ანალიზმა ცხადყო, რომ აქტივობების შესასრულებლად მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ და შესაბამისად მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესში უმეტესწილ ასრულებენ ჯგუფურ დავალებებს, იშვიათად წყვილებში მუშაობას.

ბოლო პერიოდის მეთოდურ ლიტერატურაში ყურადღება გაძლიერებულია დიფერენცირებული მიდგომის მიმართ. აღნიშნულზე დაყრდნობით ჩავრთე კვლევა. კვლევის მიზანი იყო დამედგინა რამდენად არის დიფერენცირებული მიდგომის საჭიროება.

კვლევის მეთოდები, დაკვირვება, ინტერნეტ გამოკითხვა.

კვლევა ჩატარდა 2019 წლის ნოემბერში გეგელიძეებისა და ჯალაბაშვილების საჯარო სკოლებში, ინტერნეტ გამოკითხვა.

კვლევის შედეგები: დიფერენცირებული მიდგომის მიმართ გამოიხატა დადებითი დამოკიდებულება. ამასთან, გამოიკვეთა, რომ რეალურად მასწავლებელი მუშაობს მოსწავლესთან დიფერენცირებული მიდგომით, მაგრამ გაკვეთილის გეგმაში და აქტივობების აღწერაში იგი ნაკლებად არის გათვალისწინებული. რესპოდენტებთან დიალოგის დროს საჭიროდ იქნა მიჩნეული იმ რეკომენდაციების ეფექტურად გამოყენების მეთოდებზე დაუფლება, რომელსაც უახლესი ლიტერატურა გვთავაზობს.

თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიებით სწავლება ჯგუფის ერთობლივ აქტიურობას ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, ინტერაქტიული მეთოდებით სწავლების ღერძს ჯგუფური მუშაობა წარმოადგენს. ჯგუფში გაერთიანებული მოსწავლეები ცდილობენ საერთო მიზნის მიღწევას, რაშიც ისინი სიამოვნებას პოულობენ. მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს წყვილებად, ტრიადებად, მცირე 4-5 კაციან და დიდ 6 და მეტ კაციან ჯგუფებად და მათ აძლევს რომელიმე კონკრეტულ სასწავლო ამოცანას კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით. ეს შეიძლება იყოს რაიმე პრობლემა, რომელიც ერთობლივად უნდა შექმნან, გაიაზრონ და გადაწყვიტონ.

პედაგოგიური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით წყვილებში მუშაობა მოსახერხებელია დაბალ კლასებში. ისეთ მოსწავლეებთან, რომლებსაც არა აქვთ თანატოლებთან თანამშრომლობის გზით ამოცანის გადაჭრის გამოცდილება, მასწავლებლისათვის შედარებით ადვილია წყვილებში მუშაობის დაგეგმვა და წარმართვა. წყვილებში მუშაობა შეიძლება გამოვიყენოთ იმისათვის, რომ უფრო ძლიერმა მოსწავლემ დაეხმაროს მასზე სუსტს.

ტრიადები. ტრიადა არის სამი მოსწავლისაგან შემდგარი ჯგუფი. „განსაკუთრებით მიზანშეწონილია, როცა ერთი ბავშვი მოქმედებს დანარჩენი ორის ხელმღვანელობით, მათი სახელით. სასურველია იმ ეტაპზე, როცა ბავშვებს ჯერ კიდევ უჭირთ დისკუსიის ერთმანეთთად შეთანხმება. ამ დროს მესამე მოსწავლის აზრი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს, თუმცა ჩნდება იმის საფრთხეც, რომ უმრავლესობა ყოველთვის გადაძლევს ერთის თუნდაც ლოგიკურ და სწორ მოსაზრებას“ (121, გვ. 93).

მცირე ჯგუფები (4-5 მოსწავლისაგან შემდგარი) ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა თითქმის ყველა ტიპის სამუშაოს შესასრულებლად. ამ ტიპის ჯგუფში იშვიათია ერთი მოსწავლის დომინირება. განიხილება რამდენიმე განსხვავებული ვარიანტი ან მოსაზრება, ამიტომ აუცილებელია ყველა ვერსიის მოსმენა, გაანალიზება და შეჯამება.

ეფექტური ჯგუფის მახასიათებლებია:

- მოსწავლეები ერთად მუშაობენ;
- მათ საერთო მიზნები ამოძრავებთ;

- სამუშაო განაწილებულია;
- ჯგუფში ხდება მუდმივი განხილვა;
- ჯგუფის წევრები ერთმანეთზე დამოკიდებული არ არიან;
- მათ შეუძლიათ თავიანთი მოვალეობის შესრულება გამუდმებული ხელმძღვანელობის გარეშე;
- ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან გამომდინარე, ჯგუფის საერთო წარმატება ყოველი მათგანის აქტიურ გარჯაზეა დამოკიდებული;
- შიგა და გარე ურთიერთობების ერთობლიობა;
- ერთმანეთთან გულახდილობა;
- რეალისტური დამოკიდებულება პრობლემისადმი;
- ჯგუფის ყველა წევრის უნარების მაქსიმალური გამოყენება;
- თანამშრომლობისა და ურთიერთობის გზით დასახული მიზნებისა და ამოცანების გადაჭრაზე მიზანმიმართულობა;
- წერა;
- ჯგუფში ნამუშევრების გაცნობა-გაზიარება;
- ერთმანეთის ნამუშევრების რეცენზირება;
- ტესტების გაცნობა პედაგოგის მიერ;
- ნაშრომების შემოწმება - რედაქტირება;
- ნამუშევრების პრეზენტაცია;
- კონკურსის მოწყობა - კენჭისყრის ჩატარება, გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოება;

ჩვენ მიერ განაწილებული 4-5 კაციანი ჯგუფის წევრები შეიძლება დავნომროთ პირველიდან ხუთის ჩათვლით. ამის შემდეგ მასწავლებელი ყველა პირველ ნომერს, და შესაბამისად, სხვა ნომრის მქონეთ ერთად დასვამს, რომლის მიხედვითაც მათ შეიძლება ამ საკითხის ექსპერტები ეწოდოთ. მეორე ნომრები კი მეორე საკითხის ექსპერტები გახდებიან და ასე ბოლომდე. საკითხის შესწავლის შემდეგ ექსპერტები თავიანთ ჯგუფში ბრუნდებიან, დაბრუნებული ექსპერტები ჯგუფის დანარჩენ წევრებს შეასწავლიან საერთო მასალის გარკვეულ ნაწილს. ბოლოს კი, თითოეული ჯგუფიდან, ჯგუფის რომელიმე წევრი მოახდენს მასალის იმ ნაწილის პრეზენტაციას, რომლის ექსპერტი თვითონ არ იყო და მასალა თანაჯგუფელებისაგან აითვისა.

გთავაზობთ ზოგიერთ რჩევას ჯგუფებში მუშაობის ეფექტიანად ჩატარებისათვის:

- მასწავლებელი კლასს ყოფს 4-5 წევრიან ჯგუფებად;
- თითოეულ ჯგუფს აძლევს ნომერს;
- სამუშაოს დაწყების წინ ხსნის ჯგუფში მუშაობის წესებს;
- ჯგუფის წევრები უნდა მუშაობდნენ შეთანხმებულად და მიიღონ საერთო გადაწყვეტილება;
- უთანხმოების შემთხვევაში ჯგუფმა უნდა დაადგინოს მიზეზი და გადაწყვიტოს პრობლემა;
- ჯგუფი ირჩევს ლიდერს, რომელიც საერთო ნამუშევარს წარადგენს კლასის წინაშე;
- მასწავლებელი აძლებს მოსწავლეებს საერთო დავალებას. შესაძლებელია ჯგუფებს ერთი თემის გარშემო სხვადასხვა დავალება მივცეთ;
- ამ ტიპის სამუშაოები გამორიცხავს მოსწავლეთა საქმიანობაში მასწავლებლის აქტიურ ჩარევას;
- შესაძლებელია ჩანაწერების გაკეთება;
- თუ საჭიროა რომელიმე ჯგუფის წახალისება ან გააქტიურება, მასწავლებელს შეუძლია ჩაერთოს მის მუშაობაში, როგორც ერთ-ერთი წევრი;
- თუ რომელიმე ჯგუფს უჭირს, ან შედარებით სუსტი მოსწავლეებით არის დაკომპლექტებული, შეიძლება მათ მასწავლებელმა მეტი დრო დაუთმოს და ინდივიდუალურად იმუშაოს მათთან;
- მასწავლებელი პერიოდულად უნდა ახსენებდეს ჯგუფს სამუშაოდ დარჩენილ დროს;

ჯგუფური სამუშაოები უნდა შესრულდეს გარკვეული დროის განმავლობაში (10 წუთიდან 25 წუთამდე). დროის ხანგრძლივობას სამუშაოს სირთულის დონე განსაზღვრავს. დასაშველია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს სამუშაოს შესასრულებლად მთელი გაკვეთილი დაუთმოს, ხოლო მეორე გაკვეთილი - ჯგუფების ნამუშევრების წარდგენასა და შეფასებას.

ცხადია, რომ ასეთ პირობებში ყოველი მოსწავლე იძულებულია იყოს აქტიური, მაქსიმალურად მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების მობილიზაცია, რათა

თავისი არააქტიურობით ჯგუფის სხვა წევრები არ დააზარალოს. როგორც ირკვევა, სწავლების ასეთი ფორმა უზრუნველყოფს ცოდნის მაღალ ხარისხს, ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობას, სოციალიზაციის უნარის განვითარებას და ამასთან, მოსწავლეებში აყალიბებს პასუხისმგებლობის გრძნობას.

დიდი ჯგუფები (6-10 მოსწავლე) საკმაოდ იშვიათად გამოიყენება, რადგან მრავალ პრობლემას ქმნის. ასეთ დიდ ჯგუფებში მოსწავლე შეიძლება იყოს პასიური, თუ ამის სურვილი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფური მუშაობა სწავლების პროცესში ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია, მას გარკვეული უარყოფითი მხარეებიც გააჩნია:

1. ნაკლებად უწყობს ხელს დამოუკიდებლად სწავლას;
2. შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ლიდერზე გარკვეული დამოკიდებულება;
3. ძნელია თითოეული სტუდენტის მიერ გაწეული სამუშაოს შეფასება;
4. ზოგიერთ მოსწავლეს შეიძლება გაუჭირდეს ჯგუფში ინტეგრაცია;



ჯგუფური მუშაობისთვის მზადების პროცესად შეიძლება ჩაითვალოს საკლასო/სააუდიტორიო აქტივობა, რომელიც მიზნად ითვალისწინებს, ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს შემდეგი უნარები:

- ლოგიკური შეკითხვების დასმა;
- ერთმანეთის აქტიური მოსმენა;
- სხვათა მოსაზრებების გაზიარება;
- აზრის გამართულად და ლოგიკურად ჩამოყალიბება;
- დახმარების ან განმარტების თხოვნა;
- იდეების და მოსაზრებების ახსნა შეფასება;
- საუბრის ძირითადი არსის შეჯამება;

ყველა ეს უნარი აუცილებელია ჯგუფური მუშაობის წარმატებით წარმოებისათვის. ჯგუფური მუშაობის დასკვით ეტაპზე ვახდენთ შედეგების შეჯამებას, რომელმაც შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს დავალების მიზნიდან გამომდინარე; ეს შეიძლება იყოს:

- სწორი პასუხი შეკითხვაზე;
- სავარაუდო ვარიანტების დაჯგუფება დაფაზე;
- ზეპირი პრეზენტაციები;
- მომზადებული თვალსაჩინო მასალების გამოფენა კედელზე;

ამ დროს მასწავლებელმა მთავარი ყურადღება უნდა გადაიტანოს ნამუშევრების დადებით მხარეებზე. კრიტიკული შენიშვნები კი მომავალ სამუშაო გეგმაში უნდა იქნას გათვალისწინებული.

წყვილებში მუშაობის შესახებ თეორიული მასალა მცირეა, მაგრამ იგი ეფექტიანი ფორმაა მცირეკონტიგენტიან კლასებში.

დიფერენციაციის თეორია ეყრდნობა დასკვნას, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს (კ. ტომლინსონი). ამ დასკვნის საფუძველზე დიფერენციაციის თეორია გვთავაზობს სტრატეგიებს, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს, განსაკუთრებული პირობები შეუქმნას თითოეულ მოსწავლეს კარგად სწავლისათვის. ამისათვის მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა სასწავლო მასალას, განსხვავებულ დავალებებს და სხვაგვარ პრაქტიკას.

დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისას მასწავლებელი ხელმძღვანელობს კლასის ფასილიტაციის ზოგადი პრინციპებით, რომლებიც

ეფექტურია თითოეულ მოსწავლესთან მიმართებაში. ამ თეორიის მიხედვით, სწავლებისას გაკვეთილზე განხორციელებული აქტივობების

შინაარსი

პროცესი

პროდუქტი

სისტემატურად იცვლება გამომდინარე იქიდან, თუ რისთვის არიან მზად მოსწავლეები. დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკაში გამოყენებისას:

1. მასწავლებელმა ზუსტად იცის, რა არის მნიშვნელოვანი გაკვეთილში;
2. მასწავლებელი აცნობიერებს, აფასებს და ეყრდნობა მოსწავლეთა შორის განსხვავებას;
3. სწავლება და შეფასება ურთიერთკავშირშია;
4. მასწავლებელი აკვირდება და არეგულირებს შინაარს, პროცესსა და შედეგს;
5. მოსწავლეთა ინდივიდუალური წარმატება და წარმატების მაქსიმალური ზრდა ორი მთავარი მიზანია;
6. სწავლების ყველა ეტაპზე (დაგეგმვა, წავლება, შეფასება) ლავირება აუცილებელია დიფერენციაციის განსახორციელებლად;

საკლასო ოთახში დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისას მასწავლებელი ახდენს შემდეგი კომპონენტების მოდიფიცირებას:

- სასწავლო მასალების;
- სასწავლო რესურსების;
- სასწავლო გარემოს;

მოდიფიკაცია სამი ძირითადი ასპექტის გამოა აუცილებელი:

1. სწავლის შესაძლებლობა;
2. სწავლის მოტივაცია;
3. სწავლის ეფექტიანობა;

ეს სამივე ასპექტი აუცილებლად უნდა დავუკავშიროთ:

- მოსწავლის მზადყოფნას;

- ინტერესს;
- სწავლას;

ფაქტია, რომ ყველა მოსწავლე განსხვავებულია. არ არსებობს „სტანდარტული“ მოსწავლე და არ არსებობს იდეალური ხერხი, რომლითაც მასწავლებელი ყველა მოსწავლის პრობლემებს გაუმკლავდება. სწორედ აქ გვეხმარება დიფერენციაციის თეორია, რომელიც მოსწავლეებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებების არსებობას აღიარებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მას შემოაქვს დიფერენცირებული მიდგომები სწავლის მოდალობების თვალსაზრისით. მათზე დაყრდნობით მასწავლებელს ადვილად შეუძლია მოსწავლეთა განსხვავებების გამოყენება სასწავლო მიზნით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისთვის.

სწავლის მოდალობებია:

- სმენითი;
- ვიზუალური;
- კინესთეტიკური;

ვიზუალურად შემსწავლელები

ვიზუალურად შემსწავლელები კლასის უმსხვილეს ჯგუფს წარმოადგენენ. ამგვარად მოსწავლეებმა უნდა „დაინახონ'“ სასწავლი მასალა იმისათვის, რომ იგი გასაგები გახდეს. მნიშვნელოვანია, გვქონდეს ვიზუალური დამხმარე საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ისინი შეძლებენ ინფორმაციის დანახვას. ამისათვის მათ სჭირდებათ სურათები, გრაფიკული სახელმძღვანელოები, ოთახში გამოკრული ინფორმაცია და ვიზუალიზაციის ხელშემწყობი პირობები.

ტომლინსონი გვთავაზობს ვიზუალურად შემსწავლელთა შემდეგ დახასიათებას:

- მოსწავლეებს უჭირთ სახელების დამახსოვრება, თუმცა ადამიანის შესახებ სხვა დეტალებს უკეთესად აღიქვამენ;
- ისინი შესანიშნავად ითვისებენ ცოდნას, თუკი ვიზუალური საშუალებები ხელმისაწვდომია ამ ცოდნის ასახსნელად;
- მათ ურჩევნიათ, თავად წაიკითხონ ტექსტი და არა სხვამ წაუკითხოს;
- ისინი ჩამოწერის მეშვეობით ალაგებენ აზრებს;

- უჭირთ სმენით მიღებული დირექტივების დამახსოვრება;
- ხშირად ამჟღავნებენ ემოციებს სახის გამომეტყველებით;
- უყვართ „ფაზლები“ და მსგავსი გასართობები;

უნდა გვახსოვდეს, რომ კლასში ვიზუალური სტიმულის შემოტანით ჩვენ ხელს ვუწყობთ ამგვარ მოსწავლეებს წარმატების მიღწევაში. უნდა გვახსოვდეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის „დანახვა“.

სმენით შემსწავლელები

სმენით შემსწავლელები კლასის უმცირეს ჯგუფს წარმოადგენენ. შესაძლოა მულტიმედიის, დღევანდელი ტექნიკური საშუალებები ბრალია ის, რომ იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომლებსაც სწავლა ჯდომისა და მოსმენის მეშვეობით ურჩევნიათ, ასე შემცირდა. ამგვარი მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოსმენა - იქნება ეს გაკვეთილი თუ დისკუსია. მაგრამ მათ უნდა მივცეთ ლაპარაკის საშუალებაც.

სპრენჯერი წერს: „როდესაც ამ კარეგორიის მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, ან ზოგჯერ მაშინაც კი, როდესაც არ კითხულობენ, ხშირად შევამჩნევთ, რომ ისინი ამოძრავებენ ტუჩებს და ბუტბუტებენ. საერთოდ, ასეთ მოსწავლეებს საკუთარ თავთან ლაპარაკისაკენ მიდრეკილება აქვთ“.

ასეთი მოსწავლეები ხანდახან სმენით ინფორმაციას თანმიმდევრულად ინახავენ და ამ ინფორმაციის აღდგენაც თანმიმდევრულად უნდა მოხდეს. მოსწავლეები, რომლებიც თითქმის მთლიანად სმენით სწავლებას ეყრდნობიან, შესაძლოა პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ, თუ სხვა მოდალობების მოსწავლეებთან ექნებათ საქმე, განსაკუთრებით კი კინესთეტიკურებთან.

მეცნიერები გვთავაზობენ სმენის შემსწავლელთა შემდეგ დახასიათებას:

- სმენით შემსწავლელები სახელებს უკეთესად იმახსოვრებენ, ვიდრე სახეებს;
- მოუსვენრობას ავლენენ, თუკი საკლასო ოთახში დიდხანს უწევთ ჯდომა;
- რეაგირებენ ფიზიკურ წახალიზებაზე, როგორიცაა, მაგალითად, მხარზე ხელის გადასმა;

- ურჩევნიათ კონკრეტული თემის შესახებ ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილეობა, ვიდრე მის შესახებ წაკითხვა;

უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი გრძნობენ საკლასო ოთახის კომფორტულობის დონეს და ექცევიან ამ მახასიათებლის გავლენის ქვეშ. ადვილად ეფანტებათ ყურადღება ხმაურისაგან. კარგი მეზღაპრეები არიან. წერით სამუშაოს ამჯობინებენ ზეპირ გამოსვლას.

კინესთეტიკურად შემსწავლელები

სპრენჯერი ამბობდა: „ყოველი გაკვეთილი უნდა შეიცავდეს მოძრაობას. აიღეთ ეს მოძრაობა და ხშირად გაიმეორეთ იგი. ბოლოს იგი მუდმივ მეხსიერებად იქცევა“. სიმართლე რომ ვთქვათ, პედაგოგები, რომლებიც ლექციური ტიპის გაკვეთილებს ანიჭებენ უპირატესობას, დიდ სირთულეებს წააწყდებიან კინესთეტიკურად შემსწავლელებთან ურთიერთობისას. ამგვარ მოსწავლეებს მოძრაობა სჭირდებათ. მათ აგრეთვე სჭირდებათ სასწავლო მოდელები, რომლებსაც ისინი ხელში დაიჭერენ და შეეხებიან. ამგვარ მოსწავლეებს სჭირდებათ პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და პრაქტიკული სწავლა იმისათვის, რომ სასწავლი მასალა მათთვის გასაგები იყოს.

მკვლევარები გვთავაზობენ კინესთეტიკურად შემსწავლელთა შემდეგ დახასიათებას:

- უკეთესად იმახსოვრებენ, როდესაც თავად ქმნიან. ეს ურჩევნიათ ნახვას ან მოსმენას;
- პრობლემის გადაჭრისას ხშირად ირჩევენ ისეთ ხერხს, რომელიც მაღალ ფიზიკურ აქტივობას საჭიროებს;
- არ უყვართ ისეთი პროცესი, რომელიც მხოლოდ ყურებას ითხოვს;
- უყვართ იმიტაციები, დრამატული ინსცენირებები და აქტივობები ღია ცის ქვეშ.

უნდა გვახსოვდეს, რომ მათ უყვართ მოდელები და ხშირად აგებენ მოდელებს დამოუკიდებელი პროექტებისათვის. თავიანთ ემოციებს გამოხატავენ „სხეულის ენით“.

მთავარია, სწავლებისას სხვადასხვაგვარ მეთოდიკას მივმართოთ - ისეთ მოთოდებს, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ხედვის, სმენისა და მოძრაობის გამოყენებას სასწავლო აქტივობებში.

როგორც ცნობილია, ყველა შემომავალ მონაცემს გონება უმკლავდება პერსპექტუალური რეგისტრატორის ან რეტიკულაციური აქტივაციის სისტემის (RAS) მეშვეობით. ეს მძლავრი სისტემა სწრაფად წყვეტს, ღირს თუ არა მისთვის ყურადღების მიქცევა. თუ სენსორულ მეხსიერებაში არსებული ინფორმაცია სწრაფად არ იქნა კოდირებული, იგი დაიკარგება. რის კოდირებას ახდენენ მოსწავლეები, დამოკიდებულია იმაზე, თუ რას აქცევენ ყურადღებას. დიფერენციაციის თეორიის გამოყენებისას მასწავლებელი გეგმავს აქტივობებს სხვადასხვა მოდალობის მოსწავლეებისთვის, ქმნის ეფექტურ სასწავლო გარემოს, რითაც ეხმარება კლასში მყოფ სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს, ისწავლონ. როდესაც მოსწავლეს სასწავლო მასალა მიეწოდება შესაბამის მოდალობაში, ხდება ინფორმაციის სწრაფად კოდირება და ის არ იკარგება.

საკლასო ოთახში დიფერენციაციის თეორიის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა ფორმატში:

1. სასწავლო მასალა და აქტივობები ყველა შესაძლებლობის მოსწავლეზეა გათვლილი;
2. კლასში ჯგუფების ფორმირება ხდება სწავლის სტილის მიხედვით და თითოეული ჯგუფისთვის შექმნილია შესაბამისი სავარჯიშო.

სწავლების დროს მასალის მაქსიმალურ გააზრებას იმ აქტივობით მიაღწევს თითოეული მოსწავლე, რომელიც მისთვის წამყვანია. ამიტომ ამ ფორმატით სწავლების წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად ახერხებს მასწავლებელი აქტივობების დონეზე დიფერენციაციის თეორიის რეალიზებას.

მეორე ფორმატი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ მთავარია, მოსწავლემ იმ აქტივობით ისწავლოს, რომელიც მისთვის საინტერესოა. ამ ფორმატით სწავლების ეფექტურობა დამოკიდებულია ორ ფაქტორზე:

1. რამდენად სწორად მოახერხა მასწავლებელმა ჯგუფების დაკომპლექტება;

2. რამდენად სწორადაა ადაპტირებული სასწავლო აქტივობა კონკრეტული დავალების ფარგლებში;

პრაქტიკაში მეორე ფაქტორი უფრო პოპულარულია.

რამდენად აქტუალურია დიფერენციაციის თეორია საკითხის ღრმა გააზრების, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების თვალსაზრისით; როგორ ახერხებს მოსწავლე ანალიზს, სინთეზს და შეფასებას - რამდენად დინამიკური და ტრანსფერულია შეძენილი ცოდნა? მას შემდეგ, რაც მოსწავლეები მიიღებენ და გადაამუშავებენ ინფორმაციას, ის გონების ფილტრებში გაივლის. სწორედ გონება გადაწყვეტს, თუ რა უნდა მოუხერხდეს ამ ინფორმაციას. აზროვნების პროცესი განსაზღვრავს იმ ფაქტორებს, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს, უკეთესად შეძლონ მასალის ღრმად გააზრება და ერთმანეთთან დაკავშირება. ამისთვის კი მასწავლებელს სხვადასხვა როლის შესრულება უწევს: 1. ზოგიერთი მოსწავლისათვის ის კოლეგა ხდება აღმოჩენების პროცესში. 2. ზოგიერთი მოსწავლისათვის მასწავლებელი მწვრთნელის როლს ასრულებს. 3. არიან მოსწავლეები რომლებისთვისაც ის წამქეზებლის როლს ასრულებს. 4. მასწავლებელი ვალდებულია, შინაარსის გამოტანაში დაეხმაროს ზოგიერთ მოსწავლეს. მასწავლებლის სხვადასხვა როლი სასწავლო პროცესისადმი დიფერენცირებული მიდგომიდან გამომდინარეობს, რადგან დიფერენციაციის თეორია აღიარებს მოსწავლეებს შორის არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებებს და თითოეული მოსწავლის უნიკალურობას.

დიფერენცირებულ სწავლების ეფექტურობისთვის საჭიროა შევასწავლოთ:

1. მოსწავლეს სწავლის სტილი;
2. მოსწავლის ინტერესი შესასრულებელ აქტივობისადმი;
3. მოსწავლის მზაობა ახალი თემის შესასწავლად;

როგორ შევძლოთ ეს?

უახლესი კვლევების შედეგების გაცნობის შემდეგ შევიმუშავე კითხვები, რომლის მიზანი იყო დამედგინა თუ როგორ მიმდინარეობდა კლასში, სადაც ვასწავლი.

I. როდის სწავლობენ უფრო სწრაფად და კარგად:

ა) როცა ვუსმენ

ბ) როცა ვკითხულობ

გ) როცა ვწერ

დ) როცა ვსაუბრობ

II. როდის მაქვს უკეთესი შედეგი?

ა) როცა ვმუშაობ მარტო

ბ) როცა ვმუშაობ წყვილებში

გ) როცა ვმუშაობ ჯგუფში

შედეგი შემდეგ სურათს იძლევა.

I. მოსწავლეები სწავლობენ უფრო სწრაფად როცა უსმენენ.

II. მოსწავლეებს აქვთ უკეთესი შედეგი როცა მუშაობენ ჯგუფებში.

კვლევის მომდევნო სფერო იყო ინტერესების დადგენა

როდის ვასრულებ აქტივობას შედეგიანად?

ა) როცა აქტივობა ჩემთვის დასაძლევია

ბ) როცა აქტივობა ჩემთვის ახალია

გ) როცა აქტივობის ინსტრუქცია გასაგებია

დ) როცა აქტივობის არჩევა შემიძლია

კვლევის მომდევნო სფერო იყო ახალ თემასან დაკავშრებული ახალი აქტივობის შესრულებისათვის მზაობის ხარისხის დადგენა.

მოსწავლეებს შევთავაზე

ა) ახალი აქტივობის შესრულების წესები ვიცი

ბ) ახალი აქტივობის უკვე დაუფლებადი აქტივობის ელემენტებს შეიცავს

გ) როცა ახალი აქტივობის ინსტრუქცია კონკრეტულია

ამრიგად, აქტივობების შესრულების ფორმები მრავალფეროვანია. აქტივობა შეიძლება შესრულდეს ჯგუფში მუშაობით, წყვილებში მუშაობით, დიფერენცირებული მუშაობით.

აქტივობების შესასრულებლად ძირითადად გამოიყენება ჯგუფური მუშაობა. მცირე კონტიგენტიან კლასებში ეფექტურია წყვილებში მუშაობა.

მოსწავლეთა საჭიროებების კვლევამ ცხადყო, რომ უცხო ენის (ინგლისური) შესასწავლად ეფექტურია დიფერენცირებული ფორმა, რომლის გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს მოსწავლის სწავლის სტილის გათვალისწინება, შესასრულებელი აქტივობისადმი ინტერესი, მოტივაცია და ახალი აქტივობების შესასრულებლად მზაობა.

მოსწავლეთა მხარდაჭერა მოიპოვა აქტივობების შესრულებამ სხვადასხვა გარემოში, მათ შორის საველე მუშაობის პროცესში.

თავი მეორე

სწავლების მიზნის მისაღწევად ეფექტური აქტივობების გამოყენების გამოცდილება

§5. აქტივობები სხვადასხვა სახის სასწავლო პროცესში

სასწავლო მიზნის მისაღწევად, აქტივობების შერჩევისა და ახალი აქტივობების დამუშავებისათვის პირად პედაგოგიურ პრაქტიკაში დავაგროვე გარკვეული გამოცდილება, რომელიც გავაცანი კოლეგებს, თანაკურსელებს, მივიღე მათგან რჩევა, წინადადებები და ჩავატარე საცდელი მუშაობა, რომლის მიზანი იყო შერჩეული და დამუშავებული აქტივობების სასწავლო მიზნის შესაბამისობის ეფექტურობის შემოწმება. საცდელი მუშაობა გაგრძელდა ერთი სემესტრის განმავლობაში. საცდელი მუშაობის შედეგებმა მხარდაჭერა მოიპოვა მოსწავლეების, მშობლებისა და კოლეგებისაგან როგორც სკოლაში, ასევე მასწავლებელთა კონფერენციებსა და სტუდენტებისთვის ჩატარებულ სემინარებზე.

ნაშრომში ჩავრთე საცდელი მუშაობიდან აქტივობები. გთავაზობთ გამოცდილების ამსახველ მასალებს.

აქტივობები ინოვაციური გაკვეთილებისათვის

ინოვაციური გაკვეთილის - საკლასო კონფერენციის მიზანი იყო მოსწავლეებს მიეღოთ მსმენელის წინაშე წარდგენისა და ცოდნის გაზიარების გამოცდილება. ამის შესაბამისად დავგეგმე აქტივობები, რომელიც მორგებული იქნებოდა მოსწავლეზე, გადავწყვიტე წარსადგენი თემები არ ყოფილიყო ერთფეროვანი და ერთი საგნის გარშემო. მოსწავლეებს მივეცი საშუალება თვითონ აერჩიათ თემები და საგნები, რომლებსაც დაამუშავებდნენ ინდივიდუალურად. მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში დაეხმარებოდა. თავდაპირველად, მოსწავლეებს გავაცანი ჩემი სურვილები, საკლასო კონფერენციის არსი და პრეზენტაციაზე მუშაობის სტილი. რადგან პირველად ვაკეთებდი ასეთი სახის აქტივობას, გადავწყვიტე ჩამერთო მაღალი კლასის მოსწავლეები - X. აგრეთვე, ჩავრთე მასწავლებლები, რომლებმაც

წარსდგენ მოსწავლეების წინაშე მინი ლექციების სახით მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვან თემაზე.

ეს იყო დაახლოებით 20-დღიანი მოსწავლე-მასწავლების თანამშრომლობითი მუშაობის პროცესი, რომელიც მოიცავდა ინფორმაციის მოძიებას, პრეზენტაციაზე მუშაობასა და საკლასო კონფერენციაზე წარდგენას. ჩემი აზრით, იდეა რომლის განხორციელება მოსწავლეებს მოუტანს მცირე გამოცდილებას, მაინც უნდა განხორციელდეს, მიუხედავად იმისა ეხება ეს ჩვენს საგანს, თუ არა. აქტივობა იყო ასეთი ფორმით: ინფორმაციის ჩვენება, წარდგენა აუდიტორიის მონაწილეობით, ზეპირი მოხსენება. თემები იყო შემდეგი:

- დღესასწაულები მსოფლიოს გარშემო
- საქართველო და მისი ღირშესანიშნავი ადგილები
- გადაშენების პირას მყოფი ცხოველები
- ნიუ-იორკი
- საქართველოს დაცული ტერიტორიები
- ისტორიული ეპოქა და ეპოქის ადამიანები
- ჩვენი როლი სამყაროს გადარჩენისათვის
- უბედური შემთხვევის დროს თავის გადარჩენის გზები

აღსანიშნავია, რომ სწორად შერჩეული აქტივობები ხელს უწყობს პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას და მოსწავლესა და მასწავლებლებს შორის კოლეგიალური მუშაობის პროცესს. აქტივობის დასასრულს, ბავშვების ემოციებში კარგად გამოიხატებოდა ის აზრი, რომ თუ მოინდომებ და იმუშავებ საკუთარ თავთან მეტს, ყველაფერი გამოგივა. ასევე, ძალიან მოეწინათ მასწავლებლების მიერ მომზადებული აქტივობა/მინი ლექცია, რომელმაც ისინი ბევრ რამეზე დააფიქრა.

საკლასო კონფერენცია მოსწავლეთა ჩართულობით ჩატარდა. შთაბეჭდილება დიდხანს გაგრძელდა.

სურათი 1: მინი ლექცია მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით

სურათი 2: მოსწავლის მიერ წარდგენილი პრეზენტაცია

სურათი 3: მოსწავლის მიერ წარდგენილი პრეზენტაცია

სურათი 4: შეჯამება და წამახალისებელი სერთიფიკატების გადაცემა

§5.1. აქტივობები გასვლით ინტეგრირებულ გაკვეთილზე

როგორც აღვნიშნეთ აქტივობის შესრულების ეფექტურობა იზრდება სასწავლო პროცესის სხვადასხვა გარემოში ჩატარებით, რადგან ერთფეროვნული აქტივობები არის მოსაბეზრებელი მოსწავლისათვის და ხშირად შედეგი მიუღწეველია. ასეთ მომენტში მოსწავლეებს უქრებათ სწავლისადმი მოტივაცია. ყოველთვის ვცდილობ, რომ სასწავლო პროცესში შევიტანო ის მნიშვნელოვანი და საინტერესო სიახლეები, რომლებიც იქნება თითოეული მოსწავლისათვის შედეგიანი. ერთ-ერთი სიახლე, რომელსაც ვანხორციელებ სკოლაში და უკვე მაქვს გარკვეული გამოცდილება, გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილებია.

გთავაზოვთ ჩატარებული ერთ-ერთი გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილს, რომელიც ჩავატარე გეოგრაფიისა და ისტორიის მასწავლებლებთან ერთად პეტრას ციხეზე.

ზემოთ აღნიშნული ადგილი შევარჩიე ისე, რომ ის მორგებოდა თითოეული საგნის აქტივობას. ამ გაკვეთილისთვის შევარჩიეთ VIII კლასის მოსწავლეები. გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილის მიზანი იყო საგაკვეთილო პროცესში დაგროვილი ცოდნისა და უნარების გამოყენება პრაქტიკაში/სხვა გარემოში. აგრეთვე, მოსწავლეები შეძლებდნენ ჯგუფური მუშაობის, კრიტიკული აზროვნებისა და თავისუფალი აზრის გამოთქმის უნარის გამომუშავებას.

გაკვეთილის პირველი აქტივობა იყო **'მინი ლექცია'**, რომლის მიზანი იყო ზოგადი ინფორმაციის მიწოდება მოსწავლეებისთვის არსებული პირებებისა და ადგილის შესახებ. შერჩეული ადგილიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, რომ უკეთესი იქნებოდა აქტივობა 'მინი ლექცია' ჩაეტარებინა ისტორიის მასწავლებელს. ჩემი აზრით, როდესაც ამ ტიპის გაკვეთილს ვატარებთ თანაც ბუნებაში, აუცილებელია პირველი აქტივობა იყო მინი ლექციის სახით.

მეორე აქტივობა **'დაკვირვება და ანალიზი'** ჩაატარა გეოგრაფიის მასწავლებელმა, რომლის მიზანი იყო თანაკლასელზე დაკვირვება და ძირითადი მახასიათებლების გამოყოფა. აქტივობის არსი ასეთი იყო: თავდაპირველად, მოსწავლეები წერენ

თავიანთ სახელ-გვარს პატარა ფურცლებზე, რომლებსაც გადაკეცავენ და ათავსებენ სპეციალურ ყუთში. შემდეგ, თითოეული მოსწავლე იღებს თითო ფურცელს ყუთიდან და იგებს იმ პიროვნების ვინაობას, რომელსაც უნდა დააკვირდეს მთელი გაკვეთილის განმავლობაში. გაკვეთილის ბოლოს კი წინასწარ მომზადებული კითხვარი შეავსეს მოსწავლეებმა. ეს პროცესი იყო ძალიან საინტერესო და რთულიც, იმიტომ, რომ ყველა აქტივობის დროს მოსწავლეებს უნდა მოეხდინათ კონცენტრირება იმ თანაკლასელზე, რომელსაც ადევნებდა თვალს.

მესამე აქტივობა **'კოლექციონერები'** ჩავატარე მე, რომელიც იყო ინგლისური ენის აქტივობა. აქტივობის მიზანი იყო საკომუნიკაციო ლექსიკის გამოყენება/გამტკიცება. ინსტრუქციის მიცემის დროს ყოველთვის ვცდილობ, რომ მოსწავლეებს მივსცე ინსტრუქცია მარტივად და გასაგებად. მე ვფიქრობ, რომ ნებისმიერი აქტივობის შესრულება დიდად არის დამოკიდებული მასწავლებლის მიერ მიცემულ ინსტრუქციაზე. ჩვენ ვართ განმსაზღვრელი თითოეული მოსწავლისა უმოკლესი გზით მოაგვაროს საკითხი, გადაჭრას პრობლემა თუ შეასრულოს დავალება.

აქტივობის არსი იყო შემდეგი: მოსწავლეები დავყავი სამ ჯგუფად, ისე რომ თითოეულ ჯგუფში ყოფილიყვნენ თანაბარი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები, რაც, ვფიქრობ, რომ ეს მომენტი ყოველთვის გასათვალისწინებელია ჯგუფებში მუშაობის დროს. თითოეულ ჯგუფს მივეცი საშუალება აერჩიათ ჯგუფის ლიდერი, რომელიც უხელმძღვანელებდა ჯგუფს. თითოეულ ლიდერს გადავეცი ფურცელი, რომელზეც მოცემული იყო შესასრულებელი დავალება. დავალება ასეთი იყო:

- ეპოვათ ყველაზე პატარა ქვა
- ეპოვათ ყვავილი
- ეპოვათ ფესვი (მცენარისა), რომელიც ჰგავს ინგლისური ენის ანბანის ასოს 'L'-ს
- ეპოვათ ქვა ან გადაეღოთ სურათი ქვაზე, რომელიც ჰგავდა ცხოველს
- დაგაეღოთ მშვენიერი ბუნების სურათი
- დაეხატათ ერთ-ერთი ჯგუფის წევრი შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით - ნახატი უნდა ყოფილიყო მარტივი, სასაცილო და საინტერესო
- გადაეღოთ ისტორიულ ნივთზე სურათი

- დაესვათ ნებისმიერი კითხვა (განათლებასთან დაკავშრებით), რომელსაც ვუპასუხებდი აქტივობის შეჯამებისას
- ეპოვათ ნებისმიერი მცენარის ფესვი
- აეღწერათ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი
- დაეწერათ ორი ზედსართავი სახელი, რომელიც აღწერდა ჯგუფის განწყობას იმ დროისათვის
- დაეწერათ სამი ზედსართავი სახელი, რომელიც აღწერდა ჯგუფის ლიდერის შემართებას;

ამ დავალების შესასრულებლად თითოეულ ჯგუფს მივეცი 20 წუთი. მინდა აღვნიშნო, რომ დიდი ინტერესით დამოუკიდებლად ასრულებდნენ დავალებას, რამაც ცხადყო თუ რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი ინსტრუქციის მიცემის დროს. აქტივობის შეჯამებასათვის, დასასრულს ყველანი შევიკრიბეთ ერთად თავიანთი შეგროვილი მასალებით და შევადარეთ ერთმანეთს, თუ რომელ ჯგუფს ჰქონდა დავალება უფრო ზუსტად შესრულებული. ეს იყო სახალისო პროცესი თითოეული ჩვენგანისათვის. ეს აქტივობა ერთ-ერთი მაგალითია ნებისმიერი საგნის მასწავლებლისათვის თუ როგორ შეიძლება დაგეგმოს თავის საგანში პრაქტიკული სავარჯიშო, სადაც მოსწავლე შეძლებს გამოიყენოს თავისი თეორიული ცოდნა, რომელიც გაკვეთილზე დააგროვა.

შემდეგი აქტივობა **'ორიენტირება სივრცეში'** ჩაატარა გეოგრაფიის მასწავლებელმა. აქტივობის მიზანი იყო ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა. მასწავლებელმა დაჰყო მოსწავლეები ორ ჯგუფად, რომლებსაც უნდა ეპოვათ მინიშნებების მიხედვით დამალული სიტყვები (წინასწარ აღნიშნულ ადგილას) და დაეკავშირებინათ ერთმანეთთან.

მომდევნო აქტივობა **'სურათის აღწერა'** იყო ინგლისურ ენაში, რომლის მიზანი იყო ცოდნის რეალიზება. მოსწავლეებს მივეცი საშუალება აეღწერათ მათ წინაშე არსებული რეალური სურათი. მოსწავლეები დავყავი ორ ჯგუფად, რომლებსაც უნდა შეესრულებინათ სამ ეტაპიანი დავალება. პირველ ეტაპზე თითოეულ ჯგუფს უნდა ჩამოეწერათ სიყვები იმ სურათთან დაკავშირებით, რომელიც მათ წინაშე იყო. მეორე ეტაპზე, ამ სიტყვების გამოყენებით უნდა აეღწერათ არსებული სურათი, ხოლო

მესამე ეტაპზე, თითოეულ ჯგუფს უნდა გადაეტანათ ფურცელზე აღწერილი სურათი ნახატის სახით.

რაც შეეხებას ბოლო აქტივობას **'ტექსტზე მუშაობა'**, იყო ინგლისურ ენაში, რომლის მიზანი იყო კითხვის, მოსმენისა და ლაპარაკის უნარების გაუმჯობესება. აქტივობის არსი იყო შემდეგი: თითოეულ მოსწავლეს უნდა მოესმინა ჩემს მიერ ხმამაღლა წაკითხული ტექსტი ორჯერ და გაეკეთებინათ შესაბამისი დავალება. შემდეგ, დავურიგე იგივე ტექსტი რაც მოისმინეს, წაიკითხეს ჩუმად და ამით გადაამოწმეს მათ მიერ შესრულებული დავალება.

გაკვეთილის შეჯამება, რომელიც ყოველთვის საინტერესო პროცესია.

გამიჩნდა იდეა, რომ გაკვეთილის შეჯამება ყოფილიყო ორიგინალური, განსხვავებული ჩვეულებრივი გაკვეთილისაგან. თოთოეული მოსწავლისთვის დავამზადე პატარა კონვერტები, რომლებში იდო ფურცლები დაწერილი აქტივობების სახელებით. თითიეულ მოსწავლე უნდა აეღო ერთი კონვერტი, გაეხსნა და წაეკითხა იმ აქტივობის სახელი, რომელიც ეწერა ფურცელზე. ამ აქტივობის შესახებ უნდა ესაუბრა, რა დაამახსოვრდა, რა იყო ყველაზე საინტერესო რამდენად გამოადგება ეს მაგალითი ცხოვრებაში და ა.შ.

მინდა აღვნიშნო, რომ ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი გამოცდილება დამიგროვდა და კარგად ვიაზრებ გასვლითი პრაქტიკული გაკვეთილების როლს ცოდნის მიღების პროცესში. ეს არის გაკვეთილი, რომლის დაგეგმვასაც კვირეებსაც კი ვანდომებ და დიდი ხალისით ვერთვები ამ პროცესში. მე ვფიქრობ, რომ გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილი მრავლის მომცველია. ამ დროს მოსწავლეები სწავლობენ ჯგუფურ მუშაობას, როლების გადანაწილებას, პრობლების გადაჭრის უფრო მარტივ გზებს. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება იყვნენ უფრო შემოქმედებითები. აგრეთვე, დაეუფლონ გეოგრაფიულ თუ ისტორიულ ცოდნას.

გთავაზობთ რამდენიმე ფოტომასალას გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილიდან.

სურათი 1: აქტივობა 'სურათის აღწერა'

სურათი 2: აქტივობა 'კოლექციონერები'

სურათი 3: აქტივობა ‘ორიენტირება სივრცეში’

სურათი 4: აქტივობა ‘ტექსტზე მუშაობა’

§5.2. აქტივობები ინტეგრირებული გაკვეთილისათვის საკლასო ოთახში

ემოციების მართვა და კონტროლი მნიშვნელოვანი სოციალური უნარია. მისი განვითარებისათვის შევარჩიე ინტეგრირებული გაკვეთილი. ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება სკოლაში, კარგი საშუალებაა მოსწავლისთვის ისწავლოს კავშირის მოძებნა ამ შემთხვევაში საგნებს შორის. ინგლისური ენის წიგნიდან ავიღე ერთ-ერთი მნიშვნელობანი გაკვეთილი სახელად 'სადისკუსიო ფაქტები', რომელიც მოიცავდა იმ მნიშვნელოვან ამბებს, რომლებიც ხდება ჩვენს სამყაროში. გადავწვიტე ეს გაკვეთილი განმეხორციელებინა მათემატიკის მასწავლებელთან ერთად. ამ გაკვეთილის მიზანი იყო მოსწავლეებს გაეგოთ ამა თუ იმ გლობალური ფაქტის შესახებ. ნებისმიერი გაკვეთილის დაწყების წინ, უკეთესია შეფასების რუბრიკა გააცნო მოსწავლეებს, ვინაიდან ის განსაზღვრავს მათ სწორ მიმართულებას.

მოსწავლეებს პროექტორის სახით წარვუდგინე ვიდეო, რომელიც ასახავდა განათლების პროცესს რამდენიმე ქვეყანაში. ვიდეოში მოსწავლეები ყვებოდნენ, რა მნიშვნელობა აქვს მათთვის განათლების მიღებას. მე ვფიქრობ, რომ ხშირად უნდა მიიტანო მოსწავლეებთან ისეთი მნიშვნელოვანი მასალები, რომლებიც დააფიქრებთ მათ და დაეხმარება გადაწყვეტილებაში სამომავლოდ. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, მოსწავლეებს მივეცი ასეთი ტიპის დავალება:

1. მოსწავლეებს დავურიგე ფურცლის ნაჭრები, რომლებზე ეწერა წინადადებები. მათ უნდა დაელაგებინათ წინადადებები კედელზე გაკრული გემის მიხედვით: განათლების მიღება და განათლების ვერ მიღება.
2. მოსწავლეებს დავურიგე ფერადი ფურცლები, რომლებზე ეწერა წინადადების დასაწყისი და მათ უნდა დაესრულებინათ.

ამის შემდეგ, აქტივობა ჩაატარა მათემატიკის მასწავლებელმა. მან აიღო მონაცემები იმ ქვეყნების განათლებისა, რომლებზე ინგლისურად გავაკეთეთ აქტივობები და გამოათვლევინა პროცენტობა, შედარება და ა.შ.

გაკვეთილის დასასრულს გავაკეთეთ შეფასებები. ეს იყო ძალიან საინტერესო გაკვეთილი, რომელიც დადებითი ემოციებით შეაფასეს მოსწავლეებმაც.

გთავაზობთ ფოტომასალას:

სურათი 1: მუშაობა ინგლისურ აქტივობაზე

სურათი 2: მუშაობა მათემატიკურ აქტივობაზე

§5.3. აქტივობა ინოვაციური გაკვეთილისათვის - ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?

ყოველთვის ვცდილობ მოსწავლეებს მივსცე საშუალება აქტივობები თვითონ წარმართონ და მიეცეთ შესაძლებლობა აღმოაჩინონ საკუთარ თავში, რომ შეუძლებელი არ არის, რომ ლიდერობის უნარი აქვს და ა.შ. ამიტომ გადავწყვიტე ინტელექტუალური თამაში, რომელსაც თითქმის ყველა წელს ვატარებ, ჩაეტარებინა მოსწავლეს. შევიმუშავეთ კითხვები, ჩაგვერთვენ მასწავლებლებიც კითხვების შედგენაში თავიანთი საგნების მიხედვით. მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან კარგად ართმევენ მოსწავლეები თავს ასეთ აქტივობებს. მთავარია მივსცეთ შესაძლებლობა აღმოაჩინონ შესაძლებლობები საკუთარ თავში. დასასრულს თითოეულ მონაწილეს გადავეცით წამახალისებელი სერთიფიკატები.



§5.4. გასვლითი საველე გაკვეთილი სასწავლო მიზნების შესაბამისად საველე გაკვეთილი ჩატარდა მტირალას ეროვნულ პარკში

ამ გაკვეთილის მიზანი იყო, მოსწავლეებისთვის შემექმნა შესაბამისი გარემო, სადაც ისინი შეძლებდნენ გაკვეთილზე მიღებული ცოდნისა და უნარების გამოყენებას ახალ სიტუაციაში/ყოფით ცხოვრებაში; გაეღრმავათ საკომუნიკაციო უნარები;

გადავწყვიტე ეს გაკვეთილი ჩამეტარებინა გეოგრაფიის მასწავლებელთან ერთად. როდესაც ასეთი ტიპის გაკვეთილებს ვატარებ, ყოველთვის ვცდილობ ჩემს მიერ არჩეული ადგილი შეესაბამოს იმ საგანსა და მასწავლებელს, რომელთანაც განვახორციელებ გაკვეთილს. ჩვენ შევარჩიეთ მერვე და მეცხრე კლასები. გამოვიყენეთ განმავითარებელი შეფასება.

პირველი აქტივობა **'მინილექცია'** ჩაატარა გეოგრაფიის მასწავლებელმა ადგილიდან გამომდინარე. აქტივობის მიზანი იყო იმ ადგილისა და პირობების გაცნობა, სადაც მათ მოუწევდათ მუშაობა.

შემდეგი აქტივობა **'კოლექციონერები'** ჩავატარე ინგლისურ ენაში, რომლის მიზანი იყო საკომუნიკაციო ლექსიკის განმტკიცება. ამ აქტივობისათვის მოსწავლეები დავყავი ორ ჯგუფად, ისე რომ თითოეულ ჯგუფში ყოფილიყვნენ თანაბარი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები. თითოეულ ჯგუფს მივეცი საშუალება აერჩიათ ჯგუფის ლიდერი, რომელიც უხელმძღვანელებდა ჯგუფს. ჯგუფებს უნდა შეესრულებინათ ჩემს მიერ მიცემული დავალება 20 წუთის განმავლობაში.

გთავაზობთ დავალებას:

- იპოვე ყველაზე პატარა ქვა;
- იპოვე მცენარის ფესვი;
- იპოვე ჩხირი, რომელიც ჰგავს ინგლისური ანბანის ასოს „Y"-ს;
- გადაიღე სურათი პარკში არსებული გზის ნებისმიერ მაჩვენებელზე;
- აღწერე ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, რომელსაც გამოვიცნობთ დავალების შეჯამებისას;

- მოიპოვე ერთ-ერთი მასწავლებლის ხელმოწერა;
- მოიფიქრე კითხვა საინტერესო თემაზე, რომელზეც გიპასუხებს მასწავლებელი;
- გადაიღე ბუნების სურათი;
- დახატე ჯგუფის ერთ-ერთი წევრი შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით - ნახატი უნდა იყოს მარტივი, სასაცილო და საინტერესო;
- დაწერე სამი ზედსართავი სახელი, რომელიც აღწერს ჯგუფის განწყობას აქტივობის მსვლელობის პროცესში;
- დაწერე სამი ზედსართავი სახელი, რომელიც აღწერს ჯგუფის ლიდერის განწყობას მთელი 20 წუთის განმავლობაში;

აქტივობის შეჯამებისას, ყველანი შევიკრიბეთ შეგროვებული მასალებით და შევადარეთ ერთმანეთს, თუ რომელ ჯგუფს ჰქონდა დავალება შესრულებული უფრო ზუსტად.

შემდეგი აქტივობა **'ორიენტირება სივრცეში'** ჩაატარა გეოგრაფიის მასწავლებელმა. აქტივობის მიზანი იყო მხარეების განსაზღვრა. მოსწავლეებმა შეძლეს მინიშნებების მიხედვით ეპოვათ მასწავლებლის მიერ წინასწარ დამალული წინადადება - „ვინც არ იცავს ხეს და ტყეს, მე არ ჩამოვართმევ ხელს".

აქტივობა **'ტექსტზე მუშაობა'** ჩავატარე ინგლისურ ენაში, რომლის მიზანი იყო ტექსტის გააზრება და ამავდროულად ტექსტში მეტყველების ნაწილების პოვნა.

მომდევნო აქტივობა **'მოგზაურობის აღწერა'** ჩაატარა გეოგრაფიის მასწავლებელმა, რომლის მიზანი იყო გაკვეთილის ორიგინალური გზით აღწერა. აქტივობის დასასრული ასეთი იყო: ზოგმა დახატა ნახატი, რომელიც აღწერდა მათთვის მნიშვნელოვან ადგილებს, ზოგმა კი წერილობით აღწერა.

ბოლო აქტივობა იყო ინგლისურ ენაში, სადაც გამოვიყენე თანამედროვე ტექნოლოგიაც. მოსწავლეები დავყავი ორ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს დავურიგე კალმები და ფურცლები. მათ უნდა ჩამოეწერად 10 სიტყვა 10 წუთის განმავლობაში, რომლებსაც ხედავდნენ მათ ირგვლივ ბუნებაში. ამავდროულად, თითოეულ ჯგუფს უნდა გადაეღოთ სურათები იმ ნივთებზე, რომელთა სახელებიც დაწერეს ფურცლებზე. მაგ: თუ დაწერდნენ სიტყვა 'tree'-ს, ანუ ხეს, მათ უნდა გადაეღოთ

სურათი ნებისმიერი ხისა. აქტივობის დასასრულს, შევამოწმეთ სიტყვების მართლწერა და მათი შესაბამისობა სურათებთან.

ყოველი გასვლითი (ინტეგრირებული) გაკვეთილის დაგეგმვის დროს, ყოველთვის ვფიქრობ, ეს არ არის მხოლოდ გასვლითი გაკვეთილი. აქტივობების შესრულებისა და ცოდნის გამოყენების გარდა, მოსწავლე სწავლობს ჯგუფური მუშაობის ტაქტიკას, პრობლების გადაჭრის უფრო ადვილ გზებს. მოსწავლეს ეძლება შესაძლებლობა იყოს შემოქმედებითი.

შეჯამება მოიცავდა ერთმანეთში საუბარს, აზრთა გაზიარებას, კითხვა-პასუხს და შეფასებას.

სურათი 1: ინსტრუქციის მიცემის პროცესი

სურათი 2: გაკვეთილის შეჯამება ორიგინალური გზით

სურათი 3: მოსწავლეები მუშაობის პროცესში

სურათი 4: მოსწავლეები მუშაობის პროცესში

ამრიგად, საცდელი მუშაობის შედეგებით ეფექტურია სხვადასხვა სახის სასწავლო პროცესის ფორმისა და სასწავლო მიზნის შესაბამისი აქტივობების შერჩევა, მოდიფიცირება, შექმნა. სასწავლო მიზნის მისაღწევად ეფექტურია შემდეგი აქტივობები: პრეზენტაციებზე მუშაობა, პრეზენტაციების წარდგენა მსმენელის წინაშე. გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილის სასწავლო მიზნის მისაღწევად სასურველი შედეგის მომტანი აქტივობებია: მინი ლექცია, კოლექციონერები, ორიენტირება სივრცეში, ტექსტზე მუშაობა, სურათის აღწერა. საველე გაკვეთილის სასწავლო მიზნის მისაღწევად მოსწავლეთა მოტივაციის, ინტერესისა და ჩართულობის ამაღლებისათვის ეფექტურია შემდეგი აქტივობები: მინი ლექცია, შემგროვებლები, ორიენტირება სივრცეში, ტექსტზე მუშაობა, შეჯამება ორიგინალური გზით.

დასკვნები, რეკომენდაციები

- სასწავლო მიზანი არის გაკვეთილის დაგეგმვის ძირითადი ელემენტი, რომელიც ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

  მიღწეული შედეგების ხარისხს განაპირობებს მოსწავლეების და მასწავლებლის მიერ აქტივობათა მოძიება/შედგენა და გამოყენება.

  სასწავლო პროცესი იმ აქტივობათა თანმიმდევრობაა, რომელსაც მასწავლებელი და მოსწავლეები ასრულებენ საგაკვეთილო პროცესში. უმეტესი ადგილი უჭირავს მოსწავლის მიერ შესრულებულ აქტივობებს. ასეთ შემთხვევაში ხარისხიანი იქნება სასწავლო მიზნის შესრულება.
- ეროვნული სასწავლო გეგმით უცხოურ ენაში (ინგლისური) მიმართულების მიხედვით მოცემულია მისაღწევი შედეგი სტანდარტის სახით, რომლის გათვალისწინება გაკვეთილის დაგეგმვისას სასწავლო მიზნის განსაზღვრისათვის აუცილებელია.

  ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულია სასწავლო მიზნის მისაღწევი აქტივობები, რომელიც წარმოადგენს ორიენტირს აქტივობათა სწორად შერჩევისათვის.

  მოსწავლის მიერ აქტივობათა შესრულებით სასწავლო მიზნის მიღწევის დონის განსაზღვრისათვის მოცემულია სტანდარტის შესაბამისი ინდიკატორები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრას.
- გაკვეთილის მრავალფეროვანი ტიპების, სახეების (ინოვაციური, პრობლემაზე ორიენტირებული, გამჭოლ კომპეტენციებზე ორიენტირებული და სხვა) შესაბამისად აქტივობების შერჩევა სასწავლო მიზნის მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.
- აქტივობების შესრულების ფორმები მრავალფეროვანია. აქტივობა შეიძლება შესრულდეს ჯგუფში მუშაობით, წყვილებში მუშაობით, დიფერენცირებული მუშაობით.

აქტივობების შესასრულებლად ძირითადად გამოიყენება ჯგუფური მუშაობა. მცირე კონტიგენტიან კლასებში ეფექტურია წყვილებში მუშაობა.

- ინოვაციური აქტივობები: მინი ლექცია, ჩვენება, პრეზენტაცია, ემოციების გამოხატვა, სადისკუსიო ფაქტი, ემოციების გამოხატვა, ინტელექტუალური თამაში რა სად როდის.
- საცდელი მუშაობის შედეგებით ეფექტურია სხვადასხვა სახის სასწავლო პროცესის ფორმისა და სასწავლო მიზნის შესაბამისი აქტივობების შერჩევა, მოდიფიცირება, შექმნა. სასწავლო მიზნის მისაღწევად ეფექტურია შემდეგი აქტივობები: პრეზენტაციებზე მუშაობა, პრეზენტაციების წარდგენა მსმენელის წინაშე.
- გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილის სასწავლო მიზნის მისაღწევად სასურველი შედეგის მომტანი აქტივობებია: მინი ლექცია, კოლექციონერები, ორიენტირება სივრცეში, ტექსტზე მუშაობა, სურათის აღწერა.
- საველე გაკვეთილის სასწავლო მიზნის მისაღწევად მოსწავლეთა მოტივაციის, ინტერესისა და ჩართულობის ამაღლებისათვის ეფექტურია შემდეგი აქტივობები: მინი ლექცია, შემგროვებლები, ორიენტირება სივრცეში, ტექსტზე მუშაობა, შეჯამება ორიგინალური გზით.

ლიტერატურის დასახელება

1. ა. გობრონიძე „პედაგოგიკა“ - 2000
2. გზამკვლევი I 2015
3. გზამკვლევი II 2016
4. გ. ნოზაძე „მასწავლებლის ტიპური შეცდომები გაკვეთილის დაგეგმვის დროს“
5. ენების ერთიანი ევროპური ჩარჩო 2015
6. ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024
7. ეროვნული სასწავლო გეგმა 2016
8. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი 2014
9. მასწავლებელთა გამოცდილება ელექტრონულ პორტალზე - ინგლისური ენა 2018-2019
10. მ. ინასარიძე - გაკვეთილის დაგეგმვა 2016
11. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა 2020
12. ს. ლობჟანიძე - ჯგუფური მუშაობა 2017
13. სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება 2015
14. ს. ლობჟანიძე - გაკვეთილის დაგეგმვა 2018
15. უცხოური ენის მასწავლებლის პროფესიული სტანდარი 2014
16. უცხოური ენის (ინგლისურის) მასწავლებლის წიგნი 2018
17. შ. ამონაშვილი - თანამშრომლობის პედაგოგიკა 1998